

600
1961/2

გეგმირება და გეგმირება

№ 11 ნოემბერი 1961





საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ურილობის
სხდომათა დარბაზში

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა და ვ. ეგოროვისა

— კრემლის ურილობათა სასახლე

ფოტო ნ. გრანოვსკისა და ბ. უვაროვისა



გაგანიერება და ტაქნიკა

ყოველთვიური გაგანიერება-პოპულარული

მეცნიერი

№ 11

ნოემბერი

1961



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

ისტორიული ერიოლოზა

31 ოქტომბერს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ — კომუნისტების მშენებელთა ყრილობამ.

ყრილობის მუშაობის პერიოდში მსოფლიოს ყველა მშრომლის, მთელი პროგრესული კაცობრიობის გული და გრძნობები მიპყრობილი იყო ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქისაკენ, მოსკოვისაკენ, სადაც მიმდინარეობდა ლენინური პარტიის ყრილობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა ისტორიაში შევა, როგორც ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი დიდი მოვლენა. ყრილობის მნიშვნელობა პირველ ყოვლისა ისაა, რომ მან მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა. ჩვენი ეპოქის ამ უდიდეს მარქსისტულ-ლენინურ დოკუმენტში შემდგომი განვითარება პოვა პარტიის წინანდელი ლენინური პროგრამების დიალექტიკური განვითარება. ახალმა პროგრამამ განაზოგადა ჩვენი პარტიის, მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდესი ისტორიული გამოცდილება, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები, რომლებიც შემოქმედებითა და მუშაობითაა პარტიის XX და XXI ყრილობებისა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიუმების გადაწყვეტილებებით.

ყრილობამ შეაჯამა ჩვენი სახელგანთ კომუნისტური პარტიის მიერ მოპოვებული გამარჯვებათა შედეგები და დასაბამ კომუნისტებისაკენ შედგომი წინსვლის დიალექტიკური განვითარება.

ყრილობამ ცხადყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურდუები ერთიანობა, მისი დარაზმულობა თავისი ნაცადი კოლექტიური ზედიზედგანდლის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მისი ურდუები კავშირის ხალხის მასებთან.

სკკ XXII ყრილობამ უდიდესი აღმავლობით განიხილა სკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და მოხსენება პარტიის ახალი პროგრამის პროექტის შესახებ, რომლებიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში შეაჯამა ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის აღ-


მშენებლობითი საქმიანობა სკკ XX ყრილობის დროიდან. მოხსენებაში მოცემულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ტენდენციები და კანონზომიერებანი თანამედროვე ეპოქაში, განსაზოვრულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდებული ამოცანები კომუნისტის გაშლილი მშენებლობის მთელი პერიოდისათვის.

პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი შესრულების ნიშნით. პარტია იბრძოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, რევიზიონისტებისა და დოგმატიკოსების წინააღმდეგ, შემოქმედებითად იყენებდა მარქსიზმ-ლენინიზმს და ამ პერიოდში უდიდესი იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობა გასწია მასებში. სკკ ცენტრალური კომიტეტი სათავეში ჩაუდგა ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო პროვოკების კულტის მადნე შედეგების წინააღმდეგ, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და რეგულაციური კანონიერების აღდგენისათვის ჩვენი ქვეყანაში, ამასთან გამოიჩინა მონოლოთური ერთიანობა, დიდი პრინციპულობა და გამბედაობა.

საანგარიშო მოხსენებაში არაჩვეულებრივი სიზიხადით ნაჩვენებია პარტიის მიერ განვლილი გზის შედეგი, მკათოდ და ნათლად განსაზოვრულია ჩვენი ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ეტაპები და კონკრეტული ამოცანები. მსოფლიოს ყველა მშრომელი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება და პროგრესი, ამ შესანიშნავ დოკუმენტში იპოვის ახალ, მაცოცლებელ ძალებსა და ყველა ხალხის ბედნიერებისა და აყვავების კეთილშობილურ იმედებს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული მიწვევების შესახებ დიკვანოლო ცოფრებობა და ფაქტებით დასაბუთებულია რაილი შედეგები გიგანტური მონაპოვრებისა კომუნისტების გზაზე.

პარტიის XXII ყრილობის მუშაობის მთელი შინაარსი მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმმლო იდეების დიდებული კიმნია. პარტიის ახალი პროგრამა, ყრილობის გადაწყვეტილებანი ყოველმხრივ ასაბუთებანი





კავშირში კომუნისტური მშენებლობის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, იძლევიან თანამედროვე მსოფლიო განვითარების ყოველმხრივ ანალიზს.

„თავისი მუშაობის მთელი შინაარსით, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობაზე, — XXII ყრილობამ დადასტურა ჩვენი პარტიის ურყევი ერთიანობა ხაზისადმი, რომელიც XX ყრილობამ შეიმუშავა. ახლა კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ XX ყრილობამ, აღმოფხვრა რა პირობების კულტის პერიოდის მთელი ნაშთები, ახალი ფურცელი გადაშალა ჩვენი პარტიის ისტორიაში, კეთილსაუფლოებრივ გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაზე“.

ყრილობამ, გამოხატა რა მთელი პარტიის, მთელი ხალხის ნება, უმაგალითო იდეური ერთიანობისა და შეკავშირების ვითარებაში, მთლიანად და სავესებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, ერთსულოვნად მოიწონა პარტიის ახალი პროგრამა და წესდება.

როგორც აღნიშნულია საანგარიშო მოხსენებაში, ჩვენს ეპოქაში საზოგადოების განვითარების ძირითადი შედეგია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. სოციალისტური ბანაკის ძალები და მისი საერთაშორისო გავლენა სწრაფად იზრდება. სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში მშენებლობის წარმატებანი განმტკიცებენ მშვიდობისა და სოციალიზმის პოზიციებს მთელ მსოფლიოში. ახლა მსოფლიო ასპარეზზე სულ უფრო გვინდობა სოციალიზმის ძალების უპირატესობა იმპერიალიზმის ძალებზე, მშვიდობის ძალებისა — ომის ძალებზე. ამ თანაფარდობამ ფრიალ კეთილსაუფლოებრივ ვითარება შეუქმნა ხალხთა ბრძოლას საყოველთაო მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ჩაგრული ხალხები და ერები, რომლებსაც მხარს უჭერს სოციალისტური ბანაკი, უძევლა და სძლევენ იმპერიალიზმს.

საბჭოთა ხალხი სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ერთად უდიდეს ღონისძიებებს ახდარს მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის, საერთაშორისო დაძაბულობის შეწყვეტის, საყოველთაო განთავისუფლების განხორციელების, სწავლასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანარსებობისა და აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის მხარისდაჭერის საქმეს.

„სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი, — ნათქვამია სკაპ XXII ყრილობის რეზოლუციაში, — სულ უფრო მეტად, ყოველწლივ ზემოქმედებს ახდენს არასოციალისტურ სახელმწიფოთა ხალხებზე, არგველუცი-

ურებენ და აჩქარებენ მთელი კაცობრიობის განვითარებას სოციალისტური გზით. ახლა არა იმპერიალიზმმა არამედ სოციალიზმმა განსაზღვრავს მსოფლიო განვითარების მთავარ მიმართულებას“.

საბჭოთა კავშირის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია საანგარიშო პერიოდში, კაცობრიობის მომავლის შემდგომ გამარჯვებათა შესაღწევად პერსპექტივები, რომლებსაც გვისახავს სკაპ ახალი პროგრამა, სოციალიზმის ბანაკის განმტკიცება და სოციალისტური სახელმწიფოების ახალი წარმატებანი — ყოველივე ეს მოწმობს იმას, თუ ცხოვრების პრაქტიკის რა შესანიშნავი გამარჯვებები ჩააბარეს სკაპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ეს გადაწყვეტილებანი ვერ გამოიყენა და ამით თავის პარტიას, თავის ხალხს და საერთაშორისო მუშათა მოძრაობას ზიანი მიუყენა მხოლოდ ალბანეთის შრომის პარტიის ზღმძღვანელობამ, რაც საბოლოო ანგარიშში ამ ზღმძღვანელებს აქვამდ პროლეტარული ინტერნაციონალის ძირითადი პრინციპებისაგან, მარქსისტ-ლენინიზმისაგან, სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ერთიანობისაგან განდგომის დამლუპველ გზაზე აყენებს.

პარტიის XX ყრილობის შემდგომ პერიოდს ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, მთელი კაცობრიობისათვის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში. პარტიის საქმიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი იყო ბრძოლა გაშლილ კომუნისტურ პრინციპების პერიოდის ძირითადი ამოცანების შესრულებისათვის: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება; მშრომელთა კომუნისტური აღზრდა; ხალხის მზარდი მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა განუხრელად ვითარდება. კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგად გაგვიდა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ მიიღო.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში გადაწყვეტი რილი ეკუთვნის მძიმე ინდუსტრიაში. ექვსი წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება თითქმის 80%-ით გადიდა. ფოლადის გაიზარდა გაიზარდა 26 მლნ ტონით, ნავთობის მოპოვება — 95 მლნ ტონით. ელექტროენერგიის წარმოება გადიდა 157 მლნ კვტ-ით.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ სერიოზული თვისობრივი ცვლილებები მოხდა მრეწველობაში. მშენებლობაში, ტრანსპორტზე, 1956-1961 წლებში სახელმწიფო კაპიტალურმა დახანდელობამ სახალხო მეურნეობაში შეადგინა 156 მლნ მანეთი. ეს მეთია, ვიდრე დაბანდე-



ბული იყო საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების განმავლობაში პარტიის XX ყრილობამდე!

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობას, სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომ პლენუმებზე გამოვლენებულ იქნა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით შეცდომათა და ნაკლოვანებათა მიზეზები, შემუშავებულ იქნა სოფლის მეურნეობის აღმავლობის ყოველმხრივი პროგრამა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის პარტიის მიერ მიღებულია ღონისძიებებმა უკვე მოგვცა რეალური შედეგები. ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია წინა ხუთ წელთან შედარებით გაიზარდა 43%-ით. თუ წინათ სატექნიკო ყოველწლიურად ყიდულობდა მხოლოდ ორ მლრდ ფუთ მარცვლეულს, უკანასკნელ წლებში იგი ყიდულობს სამ მლრდ ფუთსა და მეტს. მარცვლეულის წარმოების გაძლიერებასა და მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ, რომლებიც ახლა იძლევა ჩვენს ქვეყანაში პურის მთელი დამზადების 40%-ს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა უკანასკნელ ხუთ წელიწადში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა 68%-ით, ღორისა — ორნახევარჯერ. ბევრად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი გაქანება მიეცა საბინაო მშენებლობას. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აიგო მეტი სახლი, ვიდრე წინა 15 წლის მანძილზე. ახალი ბინები ბოლო 50 მლრდ კაცმა, მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედმა! საბინაო მშენებლობის მოცულობისა და ტემპის მხრივ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

უდიდესი მიღწევები მოაგვებელი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. ახალი საკმარისი საქმე კოსმოსის დაპყრობაში კიდევ უფრო დიდი დამაჯერებლობით ცხადვოფს, რომ ჩვენი ქვეყანა მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში სულ უფრო შორს იტოვებს უკან ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს ნათლად ადასტურებს სოციალისტური წყობილების შეუდარებელ უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. შესაწინააღმდეგებლად მიზნით გამოყენების დარგში, კიბერნეტიკასა და სწრაფომქმედი გამოსათვლელი მანქანების შექმნაში, პოლიმერების ქიმიამ, ავტომატიკისა და ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის განვითარებაში და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებში.

კომუნისტური პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლავრ იდეებს. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობაში მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვე-

ბანი ლენინური პარტიისა და საბჭოთა მარქსიზმ-ლენინიზმის შრომისა და თავდადებული ბრძოლის შედეგებია, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვება. ახლა ყველასათვის ცხადია, თუ რა გვიანტური მუშაობა გასწევს პარტიამ და ხალხმა. პარტიის მთელმა მოღვაწეობამ მიგვიყვანა სისურველ მიზანამდე, როგორც არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა. იგი შემოქმედებითად ამდიდრებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გიგანტურ გამოცდილებას, სხვა სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას. პროგრამაში მოცემულია ამოწურავი პასუხი თანამედროვეობის ყველაზე მთავარ საკითხებზე. იგი ჩირალდანვით გვინათებს ახალი თავისუფალი და ბედნიერი. ცხოვრების გზას, კომუნისტური გზას.

„XX საუკუნე. — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობაზე. — კომუნისტური ტრიუმფული გამარჯვებათა საუკუნეა. საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენს პლანეტაზე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალიზმი. საუკუნის მეორე ნახევარში მასზე დამკვიდრდება კომუნისტური. ამის გზას გვიჩვენებს ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ თანამედროვე ეპოქის კომუნისტურ მანიფესტს“.

პროგრამის იდეები გამოხატავს მთელი კაცობრიობის ნათელ ოცნებებს. პროგრამა მზურავლედ მოიწონეს მოძმე პარტიებმა. მას დიდი აღფრთოვანებით შეხედნენ მთელი მსოფლიოს პროლეტარები, მშრომლები. ეს ნათლად მოწმობს კომუნისტის ძალას, ჩვენი პროგრამის დიად მნიშვნელობას კაცობრიობის ზედისათვის.

პროგრამა გამომდინარეობს ახალი საერთაშორისო პირობებიდან: კომუნისტური მშენებლობა ჩაღდება არა კაპიტალისტურ გარემოცვაში, არამედ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის, იმპერიალიზმის ძალეზე სოციალიზმის ძალების, ომის ძალებზე მშვიდობის ძალების მზარდი უპირატესობის ენითარებაში. იგი გამსჭვალულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ქვეშაბირტი კომუნისტური ჰუმანიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მშვიდობისა და მშობის იდეებით.

ორი ათეული წლის განმავლობაში სსრ კავშირში შეიქმნება კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეს არის ჩვენი პარტიის მთავარი ეკონომიური ამოცანა. იგი საშუალებას მოგვცემს განავითაროთ თავისი ძლიერებით უმაღლესი მწარმოებლური ძალები და პირველი ადგილი დავიკავოთ მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ. ამ ხნის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდება სულ ცოტა 6-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია — 3,5-ჯერ. 20 წლის შემდეგ სსრ კავშირში აწარმოებს თითქმის ორჯერ მეტ მრეწველობის პრო-

დუქციას, ვიდრე ამჟამად აწარმოებს არასოციალისტუ-
რი სამყარო.

პროგრამა ითვალისწინებს მანქანათმშენებლობის უდიდეს განვითარებას. აიგება 2800 ახალი მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი საწარმო, 1900 ძველი საწარმო რეკონსტრუირებული იქნება.

მოლიანი ელექტროფიკაციის ლენინური იდეა კომუნისმის მშენებლობის მთელი პროგრამის ღერძია. უნდა ავიღო 180 მილაური ჰიდროელექტროსადგური, 200-მდე რაიონული თბოელექტროსადგური სამი მლნ კვტ სიმძლავრისა თითოეული, აგრეთვე 260 ღიდი თბოელექტროცენტრალი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ცვალობაზე გაუმჯობესდება შრომელთა კეთილდღეობა. უკვე პირველი ათი წლის განმავლობაში სამუშაო ადგილების ყველა ფენას შეეძლება ისარგებლოს დოღით, იქნება მატერიალურად უზრუნველყოფილი. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 3,5-ჯერ და მეტად. ოცი წლის შემდეგ თითოეული ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება ცალკე კეთილმოწყობილი ბინით.

პროგრამაში დასმული და ვადპირლია კომუნიზმის
თეორიისა და პრაქტიკის ახალი უმნიშვნელოვანესი სა-
კითხი — მეშუათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოს
საერთო სახალხო სახელმწიფოვად გადაზრდის შესაბებ,
ამ სახელმწიფოს ხასიათისა და ამოცანების და მისი ბე-
დის შესახებ კომუნიზმის დროს.

გაშლილი კომუნიკური მშენებლობა საბჭოთა ეკონომიკური წარმოადგენს ახალ ეტაპს ეროვნული ურთიერთობის განვითარებაში. გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის კომპლექსური განვითარება და სპეციალიზაცია. თითოეული მათგანის ეკონომიკა კვლავაც განვითარდება როგორც თვით საბჭოთა ეკონომიკის ერთიანი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი. ერებისა და ხალხების დახლოებას ხელს უწყობს აგრეთვე კულტურული მშენებლობა, იდეოლოგიური მუშაობა.

პარტიის ახალი პროგრამა ერთსულოვნად მოიწონა ყველა კომუნისტმა, მიუღმა საბჭოთა ხალხმა. პროგრამის იდეებმა უფართოესი გამოხმაურება პოვა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მილიონობით ადამიანის გულში.

პარტიის ძალისა და უძლევლობის უმნიშვნელო-
ვანეს წყაროა მისი დღევანდელი იდეური და ორგანიზაცი-
ული შეგვიძრება. პარტია თავის XXII ყრილობას შე-
ხვდა იდეურად გამოწვრილებილი, ორგანიზაციულად უმა-
ღალითად განვითარებული და დარაბული ლენინური
(კერძოდ კომიუნისტური) გარემოში.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბ. სტალინის პარო-

ნების კულტის აშკარა და გაბედულ დამოკიდება პარტიამ
გააკრიტიკა პიროვნების კულტი, თქვა, რომ წესდების
დამაინიჭებანი და შეცდომები, მტკიცედ უნდა იქნებოდეს
ლონისძიებებს, რომლებიც მომავალში საესეებით გამო-
რიცხვას ამგვარი შეცდომების გამეორების შესაძლებ-
ლობას.

„XXII ყრილობა, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — მილიანად და საესეებით იწონებს ღიღ და ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა გასწავა ლენინური პრინციპების აღდგენისა და განვითარებისათვის პარტიული, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგში, რამაც ფართო გასაქანი მისცა პარტიისა და ხალხის შემოქმედებითის ინიციატივას, ზელო შეუწყო მასებთან პარტიის კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებას, გააღიდა მისი ბრძოლისუნარიანობა.

ყრილობას სავსებით სწორად მიაჩნია და მთლიანად იფონებს ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტ ღონისძიებებს მოლოტოვის, კავანაიჩის, მაუსენკოვის, ბულგანინის, პერეჟუხინის, საბუროვსკისა და მაიათა მიმხრობაში შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის მხილებისა და იდეური განადგურებისათვის, რომელიც ილაშქრება XX ყრილობის მიერ დასახული ღონისძიების კურსის წინააღმდეგ, უწინააღმდეგობა პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაშლვის ღონისძიებათა განხორციელებას, ცდილობდა შეენარჩუნებინა ხელმძღვანელობის სახელვატეხილი ფორმები და მეთოდები, შეეფერხებინა ახლის განვითარება ჩვენს ეპოქაში».

პარტიის XXII ყრილობა ღირსშესანიშნავი იყო იმით, რომ მან ახალი ძალით გვიჩვენა მთელი საბჭოთა ხალხის უმაღლესი დარაზმულობა თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყრილობამ შექმნა ძალით გამოვლინდა მოქმე კომუნისტური და მუშაობა პარტიების ერთგულება ჩვენს ღირსი პარტიისადმი. ყრილობის გადაწყვეტილებებზე ახალ შრომით აქტივობას იწვევს საბჭოთა ხალხში, რაზემაც მათ პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრისთვის საბრძოლველად.

„გამოხატავს რა მთელი საბჭოთა ხალხის ნებას, —
ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — XXII ყრი-
ლობა ათი მილიონი კომუნისტის სახელით აცხადებს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას კვლავაც მაღლა ჰყავება მაქსიზმ-ლენინიზმის ძლიერების დროშა, შეპირულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას უკვეა ქვეყნის სოციალიზმითა წინაშე, მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის, ღაღია ისტორიული მიზნის მიღწევისათვის — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!"

მ. ვ. ლომონოსოვი

(დაბადების 250 წლისთავის გამო)

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წლის 22 ნოემბერს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა გენიალური რუსი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავი.

მ. ლომონოსოვი დაიბადა 250 წლის წინათ, 1711 წლის 19 ნოემბერს, ჩრდილოეთ რუსეთში, სოფ. მიშანინსკაიაში, ქ. ხოლომგორის მახლობლად, შეძლებული გლეხის, ვასილ დიროთის ძე ლომონოსოვის ოჯახში. დედა ელენე ივანეს ასული სივკოვა ადგილობრივი დიაკვნის შვილი იყო. ანბანი და რუსული წერა-კითხვა მიხეილს დედამ ასწავლა. მამას კი იგი უკვე 7 წლისა თევზის სარეწაო-ებზე დაჰყავდა და შრომას აჩვევდა. 9 წლის ასაკში მიხეილი დედით დაობდა და ფაქტიურად ბედის ანაბარად დარჩა. 1724 წლის 11 ოქტომბერს ვასილ ლომონოსოვი ხელახლა დაქორწინდა ირინე სიმონის ასულ კირეულსკაიაზე. დედინაცვალი ყოველმხრივ ავიწროებდა მიხეილს, უკრძალავდა მას წიგნების კითხვას და ლმერტის რწმენისაკენ მოეწოდებდა, თუმცა ღამ-ღამობით სახლის სხვენზე სანთლის შუქზე იგი მანერს ახერხებდა საერო ხასიათისა და შინაარსის წიგნების კითხვას და სახლიდან წასვლაზე ფიქრობდა.

1730 წლის 9 დეკემბერს 19 წლის მ. ლომონოსოვი სახლიდან გაიპარა. 1731 წლის იანვრის დასაწყისში ლომონოსოვმა მოსკოვს ჩააღწია და უკვე 15 იანვარს სლავო-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში ჩაირიცხა.

მოსკოვურმა განათლებამ ლომონოსოვს გამოუმუშავა სამშობლოსადმი სიყვარული, მაღალი პატრიოტული და ეთნოგრაფიის კულტურის მიმართ ქედმოუხრელობა.

1735 წლის დასასრულს მოსკოვში მოვიდა სენატის ბრძანებულმა სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიიდან 20 წარჩინებული მოსწავლის პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მივლინების შესახებ. მოსკოვის

სლავურმა აკადემიამ მხოლოდ 12 კაბუჯი შეარჩია. მათ რიცხვში მიხეილ ლომონოსოვიც აღმოჩნდა.

1736 წელს გ. ულრიხთან და დ. ვინოგრადოვთან ერთად ლომონოსოვი სამთო საქმის შესასწავლად გერმანიაში იქნა მივლინებული. 1740 წლის 6 ივნისს ლომონოსოვმა მარბურგში შეირთო ეკლესიის მნათეს ქალიშვილი ელიზაბეტა ცილხი.

1741 წლის 8 ივნისს ლომონოსოვი რუსეთში დაბრუნდა, იმავე წლის 25 ივლისს პრუსიაში რუსეთის ელჩის განკარგულებით მასთან ჩამოვიდა ელიზაბეტა ცილხიც, რომელთანაც ლომონოსოვს ერთი ქალიშვილი შეეძინა.

1742 წლის 8 იანვარს ლომონოსოვი დანიშნეს აკადემიის აღმუშტად (პროფესორის თანაშემწედ) „ფიზიკის კლასში“.

აკადემიის კანცელარია შუმახერის მეთაურობით ლომონოსოვს სდევნიდა და ავიწროებდა. თავის მხრივ არც ლომონოსოვი უთმობდა შუმახერს. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ 1743 წლის 28 მაისიდან 1744 წლის 18 იანვრამდე ლომონოსოვს შინა პატიმრობა მიუღწევს.

1745 წლის ივლისში ლომონოსოვი ქიმიის პროფესორად იქნა დანიშნული.

ლომონოსოვის საპროფესორო მოღვაწეობა აღინიშნა მის მიერ ქიმიის ლაბორატორიის მშენებლობის მოთხოვნით, რაც 1748 წლის შემოდგომაზე დამთავრდა. რუსეთის ტერიტორიაზე ეს იყო პირველი სამეცნიერო ეკრა აკადემიის გარეთ. მეორე დიდი საქმე, რაც ლომონოსოვმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისში გააკეთა, იყო ვოლფის „ექსპერიმენტული ფიზიკის“ რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა. ფაქტიურად ეს იყო პირველი წიგნი რუსულ ენაზე ფიზიკაში. ამდენად მისი როლი რუსეთში ფიზიკურ მეცნიერებათა განვითარებაში აშკარაა. ამ წიგნით ლომონოსოვმა საფუძველი ჩაუყარა პირ-



მ. ვ. ლომონოსოვი

ველ ფიზიკურ ტერმინოლოგიას რუსულ ენაზე. მრავალ ტერმინი ფიზიკის დარგიდან რუსმა ახალგაზრდობამ და საზოგადოებამ მიიღო რუსმა ხალხმა პირველად ამ წიგნიდან გაიგო.

ქიმის ლაბორატორიაში ლომონოსოვი უმთავრესად ისეთ ცდებს აყენებდა, რომლებიც მოზაიკური მიწების შეღებვის საიდუმლოებას განხილავდა. ამ მიზნით მან 4000 ცდა დააყენა. ამ საკითხთან დაკავშირებით ლომონოსოვმა დაწერა წიგნი „შეისწავლა სინათლის გარდატეხა სხვადასხვა გამჭვირვალე გარემოში. სამი წლის დამატული შრომის შედეგად მიზანი მიღწეულ იქნა: 1752 წლის 4 სექტემბერს ლომონოსოვმა იმპერატორ ელისაბედს მიაწვდინა მოზაიკური მიწისაგან დამზადებული პირველი სურათი, რომელიც 4000 მიწის ნაკრისაგან შედგებოდა. მოზაიკაში შექმნილი შრომების საფუძველზე 1764 წელს ლომონოსოვი ბოლონის (იტალია) მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული.

1755 წლის აპრილში ლომონოსოვის ინიციატივით გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის ძე ვახუშტი ბაგრატიონიც.

1757 წელს ლომონოსოვი დაინიშნა კანცელარიის მრჩეველად, ხოლო ერთი წლის შემდეგ მასვე შეენდო ისტორიის კაბინეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, გიმნაზია და უნივერსიტეტიც.

1762 წელს რუსეთის ტახტზე ავიდა გერმანელი ქალი, პეტრე III-ის ცოლი ეკატერინე II. მან თავიდანვე შეუმახერს დაუპირა მხარი და ლომონოსოვი შეიძულა.

ლომონოსოვი—ფიზიკოსი

აღსანიშნავია, რომ თვით ლომონოსოვი თავის ძირითად სპეციალობად ქიმიკოსობას აღიარებდა. ამის შესახებ იგი გარკვევით წერს ვოლფის „ექსპერიმენტული ფიზიკის“ კურსის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში. აკად. ს. ი. ვაიკოვი კი საესეზო დამაჯერებლად აღნიშნავს, რომ ლომონოსოვი იყო პირველი და სრულყოფილი ფიზიკოსი. ამიტომ უნდა აღვნიშნავთ წერისაში განხილული იქნება ლომონოსოვის მხოლოდ ფიზიკური ხასიათის ძირითადი შრომები.

შეტად საინტერესოა ლომონოსოვის შეხედულებანი ნივთიერების ატომურ-მოლეკულური აგებულების შესახებ. მრავალ ფაქტზე დაყრდნობით იგი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უნდა არსებობდეს შეუვარანობი ფიზიკური ნაწილაკები. ამ ნაწილაკებს ლომონოსოვი „მოზაიკური“ უწოდებს. ლომონოსოვის მოწინააღმდეგე ძირითად თვისებებს შეადგენდა განფენილობა, სიმტკიცე, ინერცია და შეუღწევადობა. ლომონოსოვის მიხედვით ამ ნაწილაკათაგან შედგება ყველა სხეული. ნაწილაკთა ურთიერთქმედება ხორციელდება დაჯახებათა საშუალებით.

ამის გამო სიკვდილის წინ ლომონოსოვმა თავის ერთ-ერთ მეგობარს აკადემიკოს შტელინს უთხრა: „მეგობარო, მე ვხედავ, რომ უნდა მოგვედო და დამეჭიდებოდეს და გულგრილი შევცქერი სიკვდილს; განა? მხოლოდ იმას, რომ ვეღარ შევასრულე ყველაფერი, რისი გავითებაც მინდოდა სამშობლოსათვის, მეცნიერებათა გასაძლიერებლად და აკადემიის დიდებისათვის, და ეხლა ჩემი სიცოცხლის დასასრულს მე ვხედავ, რომ ყველა ჩემი სასარგებლო სურვილები ჩემთან ერთად გაქრება“.

1765 წლის 4 აპრილს, დღის 5 საათზე, მიხეილ ლომონოსოვი გარდაიცვალა.

ლომონოსოვის მთელი ცხოვრება გამსჭვალულია რუსი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით. „...მიტომ ვითმენ, რომ ვცდილობ დავიცვა პეტრე დიდის შრომა, რომ რუსები ნასწავლნი გახდნენ, რომ საკუთარი ღირსება აჩვენონ“.

„საერთო საქმისათვის, განსაკუთრებით სამშობლოში მეცნიერებათა განმტკიცებისათვის, საკუთარი მამის წინააღმდეგ ახედრებასაც კი ცოდვად არ ჩავთვლი“.

„მე ვერ დავასრულე, მაგრამ დავიწყებ, სამაგიეროდ ჩემს შემდეგ სხვას გაუადვილებს“.

„მე არ ვღარღობ სიკვდილზე: ვიცხოვრე, ვითმენ და ვიცი, რომ შთამომავლობას შევეცოდები“.

ქეშმარიტად ახლა ლომონოსოვის სიტყვები, ალექსანდრე ნეველის ლავრაში. აქვე მარხია მისი ცოდნის ქართველი გამავრცელებელი ფიზიკაში — დავით და იოანე ბატონიშვილები*.

მიზიდულობის მანძილზე ქმედების ძალები ავტორისათვის არ არსებობს.

ლომონოსოვმა ჩამოაყალიბა ქიმიური ატომისტიკის საკითხები. იგი აღნიშნავს, რომ არსებობს მარტივი ნაწილაკი — „ელემენტი“ და რთული ნაწილაკი — „კორპუსკულა“. ელემენტი და კორპუსკულა ეს ის ცნებებია, რომელთაგანაც XIX საუკუნეში წარმოიშვა წარმოდგენა ატომისა და მოლეკულის შესახებ. ლომონოსოვი მატერიალურ სხეულს განმარტავს, როგორც „ინერციის ძალის შემცველ მიზიდულობას“. „სხეულის არსი მდგომარეობს განფენილობასა და ძალის ინერციაში“. ცოტა ქვევით კი დასძენს, რომ „მატერია არის ის, რისგანაც სხეული შედგება და რაზედაც დამოკიდებულია მისი არსი“.

ამ ორი განმარტებიდან ირკვევა, რომ ლომონოსოვი ემიჯნება ნიუტონს. თუ ნიუტონს სივრცე და მატერია

* იხ. „მეცნიერება და ტექნიკა“ მიმდინარე წლის მე-10 ნომერი მოთავსებული წერილი „ლომონოსოვი და საქართველო“.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოუდგენია, ლომონოსოვისათვის განფენილობა და ინერციის ძალა მატერიალურად უმუშაო კავშირში არსებობს, ამასთან, „ინერციის ძალა მატერიის რაოდენობის პროპორციულია“. მატერიის რაოდენობრივი გენსაზღვრისათვის ლომონოსოვი მხოლოდ ინერციას იყენებს. ლომონოსოვის მიხედვით „სხეულის ბუნება დამოამარჯობს ქმედებას და უკუქმედებაში“. ეს წინადადება წარმოადგენს ლომონოსოვის დიალექტიკის შესანიშნავ ილუსტრაციას. მოძრაობის ქვეშ ლომონოსოვს ესმის სხეულთა მხოლოდ მექანიკური გადაადგილება. მას დასაშვებად მიაჩნია მიზიდულობის ახსნა ბიძგებით, დაჯახებებით, იმპულსებით, რომელთა მოქმედების შედეგად სხეულნი დედამიწის ცენტრისაკენ მიიზიდებიან.

1748 წელს ეილერისადმი მიწერილ წერილში ლომონოსოვი წერდა: „...ბუნებაში მიმდინარე ცვლილებები ისეთი ხასიათისაა, რომ თუ ერთ სხეულს რამე ემატება, იგი აკლდება რომელიმე სხვა სხეულს. ამგვარად, რამდენი მატერიაიც ერთ რომელიმე სხეულს ემატება, იმდენივე აკლდება მეორე სხეულს, რამდენ სათესი მე მიღწევი ვხარჯავ, იმდენივეს ვაკლავ სიფხიზლეს, და ა. შ. ვინაიდან ბუნების ეს კანონი საყოველთაოა; ამიტომ იგი ვრცელდება მოძრაობის წესებზეც: სხეული, რომელიც თავისი ბიძგით ამოძრავებს მეორე სხეულს, კარგავს თავის მოძრაობიდან იმდენს, რამდენსაც გადასცემს მის მიერ ამოძრავებულ სხეულს...“.

ამ სიტყვებით ლომონოსოვმა გააერთიანა მატერიის ლიზმის ორი დიდი ფილოსოფიური პრინციპი — მატერიის მუდმივობისა და მოძრაობის მუდმივობისა — და საფუძვლად დაუდო ბუნებისმეტყველების განვითარებას. იმის შესახებ, რომ მატერია და მასთან დაკავშირებული მოძრაობა არ ქრება და არც აარაობდება წარმოიშობა, წერდნენ ჯერ კიდევ ძველი მატერიალისტები — დემოკრიტე და ეპიკურე. მათი მოძღვრების გადმოცემის დროს ძველი რომის პოეტი ლუკრეციუსი წერდა, რომ „არაფრიდან არაფერი წარმოიშობა“ და, მასადამა, „ნივთთა სრულ დაღუპვას არასოდეს არ დაუშვებს ბუნება“. აზრი იმის შესახებ, რომ მოძრაობა არ ქრება, გამოთქმული იყო აგრეთვე დეკარტის მიერაც; მაგრამ ლომონოსოვამდე ეს პრინციპები არავის არ გამოუცხადებია ბუნებისმეტყველების საყოველთაო კანონებად. მთელი თავისი მოღვაწეობა ფიზიკაში, ქიმიკაში, ტექნიკასა და ფილოსოფიაში ლომონოსოვმა ამ კანონებზე ააგო.

ერთ-ერთ შრომაში «О действии химических разтворителей воды» ლომონოსოვი იძლევა მარილების გახსნის დროს დამზერილი სითბური ეფექტის ანალიზს: „...წყლის ნაწილაკები აჩქარებენ მარილის ნაწილაკების ბრუნვით მოძრაობას და ამ დროს წყლის ნაწილაკები კარგავენ თავის ბრუნვითი მოძრაობის ნაწილს. და რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს სითბოს მიზეზს, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მარილის

გახსნის დროს წყალი ციფდება“. ამგვარად, ლომონოსოვის მიერ შემოთავაზებული ბუნების საყოველთაო კანონი შეიცავს ენერგიის მუდმივობის კანონსაც. რომელიც მეცნიერებაში მხოლოდ XIX საუკუნის შემდეგ შემოვიდა.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ლომონოსოვის შემოქმედებაში ექსპერიმენტს. სწორედ ეს არის დამახასიათებელი ახალი ფიზიკისა, რომლის მამამთავრად საზოგადოდ გალილეო გალილეის სთვლიან. ვოლფის „ექსპერიმენტული ფიზიკის“ წინასიტყვაობაში ლომონოსოვი წერს, რომ მხოლოდ მრავალი ცდის შემდეგ შეიძლება სწორი დასკვნების გამოტანა.

ქიმიური გამოკვლევების დროს ლომონოსოვმა ხშირებაში შემოიღო მიკროსკოპიც. ფიზიკური ქიმიის ლექციების პროგრამაში მან გაითვალისწინა ხსნარების, კრისტალების, ამორფული ფხვნილებისა და სხვათა მიკროსკოპული გამოკვლევა. ამ გამოკვლევებმა ლომონოსოვი მიიყვანა მიკროსკოპის კონსტრუქციის ახალ იდეამდე.

ხელსაწყითა კონსტრუირება ლომონოსოვისათვის ახალ საქმეს არ წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1743 წელს მან შექმნა ოპტიკური ხერხით ამნთები ხელსაწყით, რომელიც შემდეგ ქიმიის ლაბორატორიაში გამოიყენა მაღალი ტემპერატურის მისაღებად.

1752 წელს მან აკადემიაში წარადგინა საკუთარი კონსტრუქციის რეფრაქტომეტრი, რომელიც, მართალია, დავეიანებით, მაგრამ 1756 წელს მაინც დამზადდა. სინათლის გარდატეხის კოეფიციენტის დაზომვებით ლომონოსოვმა ამ ხელსაწყით დაამუშავა გამჭვირვალე მყარი და თხევადი სხეულების ანალიზის მეთოდი. გარდა ამისა, ლომონოსოვმა შექმნა სითბის სიბლანტის გასაზომი ხელსაწყო; სხეულთა სიმტკიცის განმსაზღვრელი ხელსაწყო; გააუმჯობესა პაპინის ქვაბი მაღალი წნევების მისაღებად; დამზადა საკუთარი კონსტრუქციის თერმომეტრი, რომელზედაც პირველად იყო აღნიშნული 0°, როგორც წყლის გაყინვის წერტილი; შექმნა საკუთარი კონსტრუქციის ჰელიოგრაფი, უნივერსალური ბარომეტრი, მეტეოროლოგიური ხელსაწყოები და სხვ.

ფიზიკური ქიმიის პრობლემების დამუშავების პროცესში ლომონოსოვი სწავლობდა წნევისა და დაბალი ტემპერატურის გავლენას ნივთიერებაზე, აყენებდა ცდებს სიკარილივში, სწავლობდა სიბლანტის, კაპილარობისა და კრისტალიზაციის მოვლენებს, ხსნარების შექმნას და სხვ. ლომონოსოვისათვის წარმოუდგენელია სიჭარბის უმაღლესი ხარისხი და ამიტომ წარმოუდგენელია აგრეთვე სითბოს უმაღლესი ხარისხიც. „უდიდესი სიცივე სხეულში ნიშნავს აბსოლუტურ უძრაობას; თუ სადმე ცოტადღენი მოძრაობა მაინც არის, მაშინ სითბო იქნება“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ლომონოსოვს სითბო წარმოდგენილი აქვს, როგორც სხეულის ნაწილათა მოძრაობის შედეგი.

1744-1749 წლებში ლომონოსოვმა სიახლოვეთა თეორიის საკითხებს მიუძღვნა შრომათა სერია საერთო სათაურით «Размышления о теплоте и холоде».

შრომების გარკვეული ნაწილი დათმობილი აქვს კომეტების წარმოშობის საკითხს. მრავალ ასტრონომიულ დაკვირვებასა და ქიმიურ მოსაზრებებზე დაყრდნობით ლომონოსოვმა კომეტის კუდის წარმოშობა ელექტრული მუხტებით ახსნა. იგი ამტკიცებს, რომ კომეტის ბირთვთან ახლოს წარმოებს მისი ატმოსფეროს ფენების შემხედვარი გადანაცვლებანი. ფენების სახეიწ წარმოშობს ელექტრულ მუხტებსა და უპაერო სივრცეში გამავალ ელექტრულ ნათებას. ასეთ ნათებას ლომონოსოვი კომეტის კუდს უწოდებს.

1756 წელს ლომონოსოვმა დაამუშავა ელექტრობისა და სინათლის თეორიები და ეთერის ფიზიკა. ოპტიკური მოვლენების ახსნას ლომონოსოვი ცდილობდა ნივთიერებათა სტრუქტურაზე და სხეულთა შორის ქიმიურ განსხვავებაზე დაყრდნობით. სწორედ ამაში მდგომარეობს სინათლის ლომონოსოვისეული თეორიის დამახასიათებელი თავისებურება. ელექტრობის შესახებ ჩანაწერებში ლომონოსოვი აღნიშნავს, რომ ეთერის ნაწილაკები ყოველთვის ერთმანეთს ეხება; ამ ნაწილაკებს სფეროებები ფორმა აქვს; სინათლე ვრცელდება უშუალოდ.

ლუმბელ სივრცეში სრულიად უმნიშვნელო დროა ეთერის ნაწილაკთა რხევითი მოძრაობის საშუალებები. და ეს არ მოხდებოდა, რომ ნაწილაკები ურყეველად მოძრაობდნენ, და სხვ. ამგვარად, ლომონოსოვი წარმოდგენილი აქვს, როგორც მატერიის მოძრაობა. ლომონოსოვი იცავდა სინათლის ტალღურ თეორიას.

დიდი შრომა გასწია ლომონოსოვმა სხეულთა ფერების ასახსნელად. იგი ვერ ურიგდებოდა იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით სხეულის ფერი წარმოადგენს სინათლის ნაკადის ერთგვარ მოდიფიკაციას სხეულის ზედაპირზე. „სინათლე წარმოადგენს სხეულის ნაწილბრვი ხარისხს და როგორც ასეთმა, თავისი ახსნა უნდა ჰპოვოს მის კორპუსკულარულ სტრუქტურაში“.

ლომონოსოვს სურდა სინათლის თეორია დაეკავშირებინა ნივთიერების აღნაგობის თეორიასთან, წარმოდგენა ეთერზე დაეკავშირებინა ქიმიის ექსპერიმენტების შედეგებთან, შეექმნა ერთი მთლიანი მოძღვრება სინათლის, ეთერისა და ნივთიერების აღნაგობის შესახებ და სხვ.

ექშმარიტად დიდია ლომონოსოვის მეცნიერული მემკვიდრეობა ფიზიკაში.

დოკუმენტი 3. პარაპაქი

ლომონოსოვი—ქიმიკოსი

გენიალურ მოაზროვნეს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ ფუძემდებელს, დიდ მეცნიერ-ნივთიერებათა მეცნიერ პეტრიტს მიხეილ ვასილის ძე ლომონოსოვს რუსეთის ელტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკრავს. „ლომონოსოვი რუსიერის მრავალფეროვანი და თავისებურებით აღსაცეკულტურის ცოცხალი განსახიერება“ (აკად. ს. ვავილოვი).

2. ლომონოსოვის შემოქმედება ხასიათდება საოცარი მრავალმხრივობით. იგი ყველგან გვევლინება როგორც მედგარი რევოლუციონერი, რომელიც უშიშრად ამსხერგავდა ძველსა და დროშეშეშულს, საფუძველს უყრდა ახალს, უფრო პროგრესულს, ღრმად წვდებოდა ბუნების საიდუმლოებებს და ამ გზით რამდენიმე თაობით წინ უსწრებდა თანამედროვეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2. ლომონოსოვი თავის „მთავარ პროფესიად“ ქიმიის თვლიდა; ჩვენ აქ მოკლედ შევხებით ამ გენიალური მეცნიერის დამსახურებას ქიმიის დარგში.

ლომონოსოვამდე გამეფებული ატომისტური შეხედულებები არსებობდა განუყოფელი და უცვლელი ატომები, რომელთაც შეეძლო მხოლოდ მექანიკური მოძრაობა; ითვლებოდა, რომ პირველადი ატომების კომბინაციით შეუძლებელია თვისობრივად ახალი წარმონაქმნე-

ბის მიღება. ასეთი კონცეფციით შეუძლებელი იყო ახსნა ისეთი ქიმიური პროცესისა, როგორიცაა წვა, ან ისეთი ფიზიკური მოვლენისა, როგორიცაა ელექტრობა. ამასთან დაკავშირებით ქიმიური პროცესების ასახსნელად მიიღეს „ცეცხოვანი მატერია“ — ფლოგისტონი, რომელიც მაშინდელი შეხედულებით ნივთიერების წვასთან ერთად გამოიყოფოდა და აქროლდებოდა, ხოლო ფიზიკური მოვლენების ასახსნელად — სპეციფიკური „სითხეები“ — სითბომადი, ელექტროფული, რომელიც თითქმის გადაისხმებოდა გასაცხლებელ სხეულში.

2. ლომონოსოვი სასტიკად ილაშქრებდა ამ შეხედულებათა წინააღმდეგ. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სამყაროზე ჩვენი წარმოდგენების მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ მატერიის შესწავლით, რომლისგანაც ეს სამყარო შედგება. ბუნების მოვლენების განხილვას იგი ახდენდა მატერიალისტურად, თვით ბუნების კანონების შესწავლის საფუძველზე.

2. ლომონოსოვი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ბუნებაში მიმდინარე ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ახსნა შეიძლება მხოლოდ ატომურ-მოლეკულური თეორიით. მისი თქმით, „ბუნებაში იქნებთან მოქცეული ქიმიკოსები, თუ მათ არ ეცოდინათ... ნაწილაკების შინაგანი ანაგობა“.



ატომურ-მოლეკულური თეორიის ძირითადი დებულებები მ. ლომონოსოვის მიხედვით შემდეგში მდგომარეობს: 1. ყოველი ნივთიერება შედგება უძირკესი ნაწილაკებისაგან — მოლეკულებისაგან („კორპუსკულებისაგან“), რომელთაც მოცემული ნივთიერების თვისებები აქვთ; 2. მოლეკულები განუწყვეტლევ მოძრაობაშია; 3. მოლეკულები თავის მხრივ შედგება გაცილებით უფრო მცირე ნაწილაკებისაგან — ატომებისაგან („ელემენტებისაგან“); 4. ატომები, ისე როგორც მოლეკულები, განუწყვეტლევ მოძრაობს; 5. მოლეკულათა თვისებები დამოკიდებულია მათ შედგენილობაში შემავალ ატომებზე, მათ რიცხვსა და მოლეკულის შიგნით ატომთა განლაგებაზე.

მ. ლომონოსოვი მუდამ მეთითებდა მატერიისა და მოძრაობის განუყოფელ კავშირზე; ამასთანავე თვლიდა, რომ ქიმიური ნაერთების შედგენილობა მუდმივია.

მ. ლომონოსოვის მიხედვით („მათემატიკური ქიმიის ელემენტები“, 1741 წ.), „მოლეკულები ერთგვარია, როცა შედგებიან ერთნაირი რიცხვის ერთნაირად შეერთებული ერთგვარი ატომებისაგან... (ლომონოსოვი სხვადასხვაგვარია, თუმათი ატომები განსხვავებულია და შეერთებულია განსხვავებულად ან სხვადასხვა რიცხვით. ამაზეა დამოკიდებული სხეულების უსასრულო ნაირსახეობა“.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედშიც ბევრ ცნობილ ქიმიკოსს, მათ შორის ლიზის, ასეთი ფაქტების შესაძლებლობა სრულიად შეუძლებლად მიაჩნდა: მაგრამ ი. ბერცელისმა 1829 წელს, მას შემდეგ, რაც თვითონ მიიღო ორი სხვადასხვა ნივთიერება — ლიგნომაჟა და ყურბანშეჟა — ერთნაირი ქიმიური ფორმული ($C_6H_6O_6$), მეცნიერებაში შეიტანა ბოჰმერის ცნება, რომლის მიხედვითაც ატომების თანაბარი რიცხვის ქიმიკ მოლეკულებს შეუძლიათ განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდეს; მოლეკულების შიგნით ატომების გადაჯგუფება იწვევს მიღებულ ნაერთში ქიმიურ და ფიზიკური თვისებების განსხვავებას.

თი რა უზადლო ნიჭით, განსაკუთრებული ინტუიციითა და განჭვრეტის უნარით იყო დაჯილდოებული მ. ლომონოსოვი და რამდენად წინ უსწრებდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებას კი...

მ. ლომონოსოვმა დიდი როლი შეასრულა ქიმიის, როგორც მეცნიერების დადგენაში. ლომონოსოვამდე ქიმია მხოლოდ ზელონობის სახით იყო ცნობილი. 1840 წელს ცნობილი ქიმიკოსი ლიზიზი წერდა, რომ „მის ახალგაზრდობაში ქიმია მკურნალთა მოხალე იყო, იგი აზნადებდა მათთვის სასამეხელ და საშინაო წამლებს“.

XVIII საუკუნის ქიმიის ავტორიტეტებიც კი საკმარისად თვლიდნენ ქიმიური ოპერაციების დროს რთულ ნივთიერებათა დაშლას და, პირიქით, მარტივ ნივთიერებათაგან რთული ნივთიერების მიღებას. იმდროინდელი ქიმიის ამოცანაში არ შედიოდა შემადგენელი ნაწილების რაოდენობრივი განსაზღვრა, გაგება იმისა, თუ რა წონი-

თი შეფარდებით შედის სხეულში შემადგენელი ნაწილები.

მ. ლომონოსოვი ღრმად იყო დაიწყებული ქიმიაში, რომ ამ გზით არ შეიძლება ქიმიის კანონების დადგენა. მან პირველმა მისცა ქიმიის „მეცნიერული განმარტება“. მისი სიტყვებით: „ქიმია არის მეცნიერება იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც შერეულ (ი. ი. რთულ) სხეულში ხდება; ვინც იცნობს შერეულ სხეულს, მას შეუძლია ახსნას მისი ყველა შესაძლო ცვლილება“.

ალაბედზე მომუშავე ქიმიკოსებს, ვიწრო ინტერესებით გამსჭვალულ ზელონებსა და მეაფთიაქეებს იგი უპირისპირებდა მეცნიერულად მომზადებულ ქიმიკოსს, რომელიც უნდა დაეყრდნოს ფიზიკურ-მათემატიკური დარგის მეცნიერებებს. მისი თქმით, მხოლოდ მაშინ, როცა ბუნებრივმცოდნეობის ისწავლის „ქიმიაში“ „გეომეტრიის საშუალებით განზომილ, მექანიკის საშუალებით აწონას, ოპტიკის საშუალებით დაზვერვას“, იგი მიაკვლევს „სასურველ საიდუმლოებას“.

დისკრეციაში — „მათემატიკური ქიმიის ელემენტები“ — მ. ლომონოსოვი ამბობს: „გეომეტრიკი ქიმიკოსი უნდა იყოს თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი... ქიმიკოსი უნდა ამტკიცებდეს ყველაფერს. რაზედაც ლაზარკია ქიმიაში, მაგრამ ის, რასაც იგი ამტკიცებს, მან ჭერ თვითონ უნდა შეიცნოს... ვინც მისწრაფებს ქიმიის ღრმად შესწავლისაკენ, მან კარგად უნდა იცოდეს მათემატიკა“ და ამის საბუთად მოყვას ის, რომ იგი „ვერ ხელდას ვერავითარ სხვა მიზეზს, გარდა მათემატიკის უცოდნეობისა, რომლის გამოც მათ (ე. ი. ქიმიკოსებმა) ვერ შეძლეს გამოეყვანათ მეტი კანონზომიერებანი ასეთი მოავალრიცხოვანი ცდებისაგან“.

მ. ლომონოსოვის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე ქიმიკოსები რეაქტივების ჩატარებისას იყენებდნენ ქიმიურად არაწმინდა ნივთიერებებსა და რეაქტივებს. ამის გამო სხვადასხვა ქიმიკოსების ზელში ნივთიერებები ერთი და იმავე სახელწოდებით სინამდვილეში სხვადასხვა ნივთიერებათა წარევებს წარმოადგენდა. ამას, რასაკვირველია, ცდებში დიდი არეუ-დარევა შეჰქონდა.

პირველად მ. ლომონოსოვმა დაიწყო ქიმიურ რეაქტივებში გამოსაყენებლად ქიმიურად წმინდა ნივთიერებებისა და რეაქტივების დამზადება. ასეთივე წესით მუშაობას მოითხოვდა იგი სხვებისაგანაც. წარმატებით გამოკვლევის ჩატარების აუცილებელ პირობად იგი თვლიდა სწორედ ასეთი რეაქტივების გამოყენებას. 1745 წელს ქიმიური ლაბორატორიის დაარსებასთან დაკავშირებით შედგენილ პროექტში მ. ლომონოსოვი წერდა: „საიხირო და ქიმიურ მუშაობაში გამოსაყენებელი ნივთიერებანი ჭერ დიდი გულმოდგინებით უნდა გავწმინდოთ იმისათვის, რომ მასში არ იყოს არავითარი ვარდუ მინარევი, რომელსაც სხვა მოქმედების დროს შეუძლია შეცდომაში შევიყვანოს“.

მ. ლომონოსოვის აუცილებელ საჭიროებად მიიჩნედა ზუსტი ქიმიური ანალიზები, აგრეთვე რაოდენობითი გამოკვლევები. ამავე დროს იგი თვლიდა, რომ ქიმიურ გამოკვლევებში აუცილებელია ფიზიკური მეთოდების გამოყენება. თვით მ. ლომონოსოვი ყველა თავის მუშაობაში ქიმიური აწარმოება და სასწორებისა და სხვა ხელსაწყოების გამოყენებით, რომლებიც ზუსტი გაზომვის საშუალებებს იძლეოდა.

მ. ლომონოსოვის უდიდესი გმირობა იყო მატერიისა და მისი მოძრაობის მუდმივოდენობის კანონის აღმოჩენა და მისი თეორიულად და ექსპერიმენტულად დასაბუთება. ეს კანონი მოცემული იყო ჯერ კიდევ 1748 წლის 5 ივლისს ლენინად ეილერისადმი მიწერილ წერილში და შემდეგ მის შრომაში „სჯა სხეულთა სიმყარეზე და თხევადობაზე“ (კანონის ფორმულირება იხ. ვ. პაკაძის წერილი).

ეილერი საპასუხო წერილში ლომონოსოვის ამ აღმოჩენას მაღალ შეფასებას აძლევდა; განსაკუთრებით იმით, რომ ნივთიერების შენახვის კანონი მან გააერთიანა ენერგიის მუდმივობის კანონთან. პართალა, ლომონოსოვის ამ ფუნდამენტალურ კანონში მოცემულია მატერიალიზმის დიდი ფილოსოფიური პრინციპების განხილვები.

უნდა აღინიშნოს, რომ მატერიის მუდმივოდენობის პრინციპი, ისე როგორც მოძრაობის მუდმივოდენობის პრინციპი, ენოთიქსული იყო წინათაც ძველი მატერიალისტ-ფილოსოფოსების მიერ, მაგრამ მაშინ გამოთქმული პრინციპი წარმოადგენდა ფილოსოფიური ხასიათის დებულებას, რომელიც ექსპერიმენტით არ იყო დასაბუთებული. გარდა ამისა, ლომონოსოვის დამსახურება ისაა, რომ მის მიერ დადგენილი პრინციპი მან აღიარა, როგორც ბუნებისმეტყველების საყოველთაო კანონი, რომლითაც საჭიროა ვისარგებლოთ ყველა კონკრეტულ გამოკვლევაში. ამასთანავე მან საფუძველი გამოაცალა ბუნების შესახებ მეტაფიზიკურ წარმოდგენებს. ლომონოსოვის კანონმა დიდი როლი შეასრულა ბუნებისმეტყველების შემდგომი განვითარების პროცესში.

ქიმიის ამოცანებისადმი ახალმა მიდგომამ, წინითი ფარდობებისადმი განსაკუთრებულმა ყურადღებამ მ. ლომონოსოვი მიიყვანა ლითონების დაქანავის შესანიშნავ გამოკვლევებთან, რომელთა შედეგად წვის პროცესის არსი მეცნიერულად დასაბუთდა.

ლომონოსოვამდე, როგორც აღინიშნული გვქონდა, წვის საწყისად ითვლებოდა ნივთიერებაში შემავალი „ციხვლოვანი მატერია“, ეგრეთ წოდებული ფლოგისტონი.

ფლოგისტონის თეორიის შექმნა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეტალურგიის განვითარებასთან. ცხოვრებაში წამოყვანა ისეთი პრაქტიკული საკითხები, რომლებიც შესწავლას მოითხოვდა, მაგალითად, წვის ბუნება, მადნეულიდან ლითონების გამოღობის პროცესი და სხვ.

მ. ლომონოსოვი მეტად სკეპტიკულად უყურებდა უწონადო ნივთიერებებს და ურაციონალურ მათემატიკას.

იგი შეეცადა გამოერკვია, თუ რა ხარისხით ფლოგისტონის გამოწვის პროცესში. იმდროინდელ მეტალურგიულ პროცესებში ნაქანავებიდან გამოდიოდა, თითქმის ლითონი გამოწვის დროს წონაში მატულობს; მაგალითად, რებერტ ბოილი თავის ცდებში ტყვიის ნაჭერს ათავსებდა დარჩილული მინის რეტორტაში, წონიდა მას და ახედობდა. ტყვია ფხვნილად — წინააღმდეგ — იქცეოდა. ბოილი ტყვად რეტორტას, რომელშიც ჰაერი მსუილით შედიოდა; წონიდა მას და ამჩნევდა წონის მომატებას. მ. ლომონოსოვმა ანალოგიური ცდები ჩაატარა, მხოლოდ იმ ნაქანავებით, რომ ქურბულს წონიდა ჰაერის შემუბამდე. ამ პირობებში წონის მომატება არ ხდებოდა. როგორც ეილერისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, გამოწვის დროს ლითონის წონის მომატებას ლომონოსოვი ხსნის ლითონის ჰაერთან შეერთებით.

ამგვარად, მ. ლომონოსოვმა თავისი ღირსშესანიშნავი გამოკვლევებით (1756 წ.) ჯერ კიდევ შეგულის და პარსტლეის მიერ ქანებადის აღმოჩენამდე (1772-1774 წწ.) გამოიკინა გამოწვის არსი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლითონის ჰაერზე გახურებისას ხდება ლითონისადმი ჰაერის ნაწილაკების მიერთება. ამ გამოკვლევებმა ფლოგისტონის თეორიას მძიმე ლახვარი ჩასცა, რის შემდეგაც წვის პროცესს სწორი ასხანა-განმარტება მიეცა.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე ცნობილ ფრანკ ქიმიკოსს ა. ლაუუზაჟეს, რომელმაც ლომონოსოვის ცდებიდან 17 წლის შემდეგ გამოარკვია, რომ გახურებისას ლითონებს ჰაერში შემავალი ქანებადი უერთდება (ლომონოსოვის ცდების დროს, როგორც ზემოთყვანილი თარიღებიდან ჩანს, ქანებადი ჯერ კიდევ აღმოჩენილი არ იყო).

ა. ლაუუზაჟეს ამ გამოკვლევამ, რომლის შედეგები ემთხვეოდა მ. ლომონოსოვის მიერ წინათ მიღებულ შედეგებს და რომელიც ამასთანავე ამტკიცებდა ნივთიერების მუდმივოდენობის კანონს. მას მსოფლიო სახელი მოუტოვა. თვით ლომონოსოვის დამსახურება და პარიტეტი ამ საკითხში კი საყოველთაოდ ცნობილი გახდა მხოლოდ 150 წლის შემდეგ.

თავისი დიდი დიდიგება და ღრმა ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ ლომონოსოვისადმი აუცილებელი იყო ქიმიური ლაბორატორია, რომლის დარსების საკითხი მან ჯერ კიდევ 1742 წელს დააყენა. დიდი დავიდარბასი და წვალბის შემდეგ, 1748 წლის შემოდგომაზე, ლომონოსოვის მიერ მეცნიერებათა აკადემიასთან გახსნილ ექნა პირველი ქიმიური ლაბორატორია. ამ ლაბორატორიაში მან საფუძველი ჩაუყარა ბუნებისმეტყველების ახალ დარგს — ფიზიკურ ქიმიას.

მ. ლომონოსოვი ქიმიკოსის წარმატებით მუშაობასთან ფიზიკის ცოდნასა და გამოყენებას აუცილებელ საჭიროებად თვლიდა. მისი თქმით: „ფიზიკის უცოდინა-



რი ქიმიკოსი მსგავსია ადამიანისა, რომელმაც ყველაფერი ხელის ცეცებით უნდა აეთოს. ეს ორი მეცნიერება ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი მეორეს უძისოდ სრულყოფილი არ იქნება. მ. ლომონოსოვის განმარტებით „ფიზიკური ქიმია არის მეცნიერება, რომელიც ფიზიკის დებულებებისა და ცდების საფუძველზე იძლევა იმის ახსნას, თუ რა ქიმიური ცვლილებები ხდება რთულ სხეულებში“.

მ. ლომონოსოვმა პირველმა ჩამოაყალიბა ეს ახალი საგანი „ქეშმარიტი ფიზიკური ქიმიის კურსის“ სახელწოდებით და აღნიშნულ ლაბორატორიაში 1752-1753 წლებში წაუკითხა იგი რამდენიმე სტუდენტს.

შემდეგ გამოცემული „ქეშმარიტი ფიზიკური ქიმიის კურსის შესავლიდან“ და სხვა შრომებიდან ნათელი ხდება, თუ რა დიდი მოცულობისა და მრავალსახეობის ამოცანებსა და პრობლემებს აყენებდა მ. ლომონოსოვი ფიზიკური ქიმიაში, რომელთაგან ბევრი ამჟამადაც ამ მეცნიერული დარგის საკვანძო საკითხად ითვლება.

მ. ლომონოსოვი იკვლევდა ნივთიერებებზე დაბალი ტემპერატურისა და წნევის გავლენას, სწავლობდა სიბლანტის, კაპილარობისა და კრისტალიზაციის მოვლენებს, კრისტალების ფორმასა და წონაქუთრის; ცდილობდა გამოერკვია ქიმიასა და ელექტრობას შორის კავშირი, უყურადღებოდ არ სტეუბდა აგრეთვე კოალიციებს, ხსნარებსა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშაობა ხსნარებზე, რომლებიც შემდეგაც, მთელი საუკუნის განმავლობაში, მეტად მყარ ყურადღებას იქცევდა. ამ დარგში ჩატარებული მუშაობიდან მნიშვნელოვანი ლომონოსოვის მიერ ხსნარების ისეთ გჯუფებად დაყოფა, რომელთა მიღების დროს სითბო გამოიყოფა ან, პირაქით, სითბოს დახარჯვაა საჭირო.

სატვირთელის ტვირთამწეობაა 800 კგ. მაქსიმალური მომ-წეუბები ძალაა ისრის პირველ შეადგენს 1600 კგ-ს, მიწის დონე-დან ისრის აწვევის სიმაღლეა 3100 მმ, პირმოღების კონსტრუქცი-ული განი — 1,8 მ, სატვირთელის სიგრძე სატრანსპორტო მდგომარე-ობაში — 5140, სიგანე — 2530, სიმაღლე — 3100 მმ, წონა — 800 კგ. მწარმოებლობაა შ1 ტონა საათში.



ქვემოთაა

მოხმობენ
ქვემოთაა

დ. ყაპაძე

1961 წლის 15 თებერვალს მოხდა მზის დაბნელება, რომელიც მოჩანდა საბჭოთა კავშირის მრავალი პუნქტიდან. მთვარის ჩრდილმა უდიდესი სიჩქარით გადაარა ბისკაის უღრესი, საფრანგეთის, იტალიას, იუგოსლავიას, ალბანეთს, ზულგარეთს, რუმინეთს და 10 საათსა და 59 წუთზე შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — იზმაილის რაიონში. შემდეგ გაიარა უკრაინის სამხრეთ ნაწილი, ყირიმის ნახევარკუნძული, ქვედა დონი, ბაშკირეთი, ურალი და 12 საათსა და 7 წუთზე გაცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას.

სრული დაბნელების ზოლში მოხვდა შემდეგი ქალაქები: იზმაილი, ევპატორია, სიმფეროპოლი, სევასტოპოლი, როსტოვი (დონზე) და სხვ. სრული დაბნელების ზოლის სიგრძე დაახლოებით 7740 კმ-ია. აქედან 5000 კმ მოხვდა საბჭოთა ტერიტორიაზე. მთელი ეს მანძილი მთვარის ჩრდილმა გაიარა 1 საათსა და 36 წუთში 1340 მ/წმ. სიჩქარით.

ნაწილობრივ დაბნელებაში მოხვდა თბილისიც, სადაც მზის დაბნელება დაიწყო 10 საათსა და 09 წუთზე, უდიდესი ფაზა იყო 11 საათსა და 22 წუთზე. ნაწილობრივ დაბნელება დამთავრდა 12 საათსა და 43 წუთზე*. დაიფარა მზის დისკოს 0,9 ნაწილი.

მზის დაბნელებაზე დაკვირვებას უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული მოვლენა საშუალებას იძლევა გადაიჭრას მრავალი საკითხი, რომლებიც ეხება როგორც საკუთრივ მზის, ისე მისი გავლენის შესწავლას დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე პროცესებზე.

ამის გამო მზის სრული დაბნელების ზოლში ეწეობა მრავალი მეცნიერული ექსპედიცია სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. მეცნიერები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მონაცემები მიიღონ მზის სრული დაბნელების დროს, რომელიც რამდენიმე წამი გრძელდება. მათ წინაშე დგას როგორც ახალი პრობლემების გადაჭრის, ისე ძველი, უკვე გადაჭრილი საკითხების დაზუსტების ამოცანა.


ძირითადი პრობლემები, რომელთა შესწავლა ხდება მზის დაბნელების დროს, შემდეგია: 1. იმ ცვლილებების განსაზღვრა, რომელსაც ადგილი აქვს მზისა და მთვარის მოძრაობაში; 2. მზის გარეშე გარემოს შესწავლა (ქრომოსფერო და კორონა); 3. დაკვირვება აინშტაინის ეფექტზე; 4. დედამიწის ატმოსფეროს შესწავლა.

ჩვენ აქ მოკლედ შევიხილავთ აღნიშნული საკითხების მნიშვნელობაზე, ხოლო შედარებით დაწვრილ-

ბით — მზის დაბნელების ეფექტზე — იონოსფეროს დაიბნელებულ ფენებზე.

მზის დაბნელების ზუსტი მომენტის განსაზღვრა პირდაპირ დაკავშირებულია ციური სხეულების მოძრაობის ტრაექტორიებზე, ამიტომ ბუნებრივია, დისკვას საკითხი: ხომ არ შეიძლება მზის დაბნელების ზუსტი მომენტის განსაზღვრის საშუალებით დაზუსტდეს ციური სხეულების მოძრაობის კანონები? როგორც გამოირკვა, ასეთი შებრუნებული ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია, ამ გზით შეიძლება მთვარის მოძრაობის ტრაექტორიის დადგენა, რაც ციური მექანიკის ერთ-ერთი რთულ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოძრაობა ასტრონომიაში კარგადაა შესწავლილი და ასტრონომები წინასწარ განსაზღვრავენ მზის მოსალოდნელ დაბნელებას, მთვარის თეორიულად გამოთვლილი ტრაექტორია მის მოძრაობას ზუსტად არ შეესაბამება. ამის მიზეზი მრავალია.

იმისათვის, რომ წარმოდგენ ვიქონიოთ, თუ როგორია დაბნელების გამოთვლილი და დაკვირვებული დროის მიმეტეტებს შორის განსხვავება, შეიძლება შემდეგი მაგალითების მოყვანა. მზის დაბნელება 1925 წელს დაიწყო 5 წამით უფრო გვიან, ვიდრე მოსალოდნელი იყო; 1926 წლის 14 თებერვალს დაბნელებამ 2 წამით დაიგვიანა. 1927 წლის 29 ივნისს დაბნელება 2 წამით უფრო ადრე დაიწყო და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავება მცირეა, ისინი მეცნიერებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ მთვარისა და დედამიწის მოძრაობის ტრაექტორია და ამის საფუძველზე დაზუსტონ თეორიული კანონები.



მზის დაბნელების სქემა

მზის დაბნელებაზე დაკვირვებამ შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის ირგვლივ. გამოირკვა, რომ დედამიწის ღერძის ირგვლივ დედამიწის ბრუნვის სიჩქარე უცვლელი არ არის. მართალია, ცვლილება საკმაოდ მცირეა, მაგრამ მისი აღრიცხვა შესაძლებელია.

* ყველა დრო ნახევრება მოსკოვის დროით.

ამჟამად ყველაზე უფრო დიდი ყურადღება ექცევა მზის ატმოსფეროს გარსების — ქრომოსფეროსა და კორონის შესწავლას. თუმცა მათი კვლევის საქმეში დიდი მიღწევებია მოპოვებული მზის დაბნელების გარეშე, მაგრამ ამ გარსების სრულყოფილი შესწავლა მხოლოდ მზის დაბნელების დროს ხერხდება.

მზის გარეთა გარსის გამოკვლევა მრავალმხრივია. მათ შორის ძირითადია: ნაწილაკების ბუნების შესწავლა, კორონის ფიზიკური მდგომარეობისა და კორონალური ნივთიერების სიმკვრივის გაგება, ნივთიერების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა ქრომოსფეროში, მისი გამოსხივების ბუნების გამოკვლევა და სხვ.

იმისათვის, რომ შესწავლილ იქნეს, თუ რას წარმოადგენს და რა მდგომარეობაშია კორონის ნივთიერების ნაწილაკები, საჭიროა გამოირკვეს: საყუთარ: გამოსხივებას იძლევიან ისინი, თუ ანათებენ მზის გაბნეული სხივებით. ბევრი რამ გარკვეულია, მაგრამ დასმული პრობლემა გადაწყვეტილი არ არის და კვლევის საგანს წარმოადგენს.

მზის კორონის ნივთიერების სიმკვრივის განსაზღვრა ზდება ძირითადად ფოტომეტრიული დაკვირვებებით. მისი სრული ნათების განსაზღვრა საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს კორონალური ნივთიერების მასა და საშუალო სიმკვრივე, დეტალური ფოტომეტრით შეისწავლება ნივთიერების განაწილება კორონაში და სიმკვრივე კორონის სხვადასხვა არეში.

როგორც ირკვევა, კორონის საერთო ნათება უცვლელი არაა. იგი იცვლება მზის დაბნელებიდან დაბნელებამდე. იცვლება მისი ფორმაც. ამიტომ ამ ცვლილებათა კანონზომიერების დადგენა და მათი ფიზიკური ასენსა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

1911 წელს აინშტაინმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად სხივის ტრაექტორია ვანიცდის გალუნვას დიდი მასის მქონე სხეულთან გავლის დროს, თითქოსდა სხეული იზიდავს მას. მან გამოთვალა მისი გალუნვის სიდიდე, როგორც ფუნქცია სხეულის მასისა და იმ მანძილისა, რომლითაც დაშორებულია სხეული სხივიდან.

თუ ამ გამოთვლას გამოვიყენებთ მზესთან ახლოს გავლილი სხივისათვის, მაშინ მისი ტრაექტორიის გალუნვა უნდა მოხდეს $1''.75$ სიდიდით.

ამ მოვლენაზე, ე. ი. „აინშტაინის ეფექტზე“, დაკვირვება შესაძლებელია მხოლოდ მზის სრული დაბნელების დროს, როცა ვარსკვლავიდან წამოსული სხივი გაივლის მზის მახლობლად. ცხადია, აინშტაინის თანახმად ასეთი ვარსკვლავი უნდა მოგვეჩვენოს წანაცვლებული მისი სხივების ტრაექტორიის გალუნვის გამო.

„აინშტაინის ეფექტზე“ დაკვირვება მზის დაბნელების დროს პირველად 1919 წელს განხორციელდა ინგლისელების მიერ. წანაცვლების სიდიდე ზუსტად დაემთხვა ნაწინასწარმეტყველებ შედეგს. დადებითი შედეგი მიღებულ იქნა აგრეთვე 1922 წელს. შემდეგში, 1929

წელს, როცა გამოყენებულ იქნა გაუმჯობესებული მეთოდები და ხელსაწყოები, მიღებული წანაცვლების სიდიდე აღმოჩნდა $2''.2$, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე აინშტაინის თეორია წინასწარმეტყველებდა. **გ. ბ. ლ. ი. მ. მ. მ.**



მოსკოვი



დანიენგრაი



რიმა



აიუიენოვი



აიუივი



ყაზანი



თბილისი



ბაქო



აშხაბადი



უზაყანსი



აღმა-აშუ



ნოჟოსიგირსკი

მზის ნაწილობრივი დაბნელების უდიდესი ფაზა საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ქალაქისათვის 1961 წლის 13 თებერვალს

მომდევნო გაზომვებით (1936, 1947, 1952 წლებში) მიღებული შედეგები აღემატება ფარდობითობის თეორიის მიხედვით გამოთვლილ სიდიდეს. თეორიულ და დაკვირვებით მიღებულ შედეგებს შორის ასეთი განსხვავება მოითხოვს ამ საკითხის შემდგომ კვლევას.

მზის დაბნელების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწის ატმოსფეროს ერთ-ერთი ძირითადი ფენის — იონოსფეროს შესასწავლად, მასში მიმდინარე ფიზიკური პროცესების დასადგენად, მზის იო-


ნოსფეროს დაიონებულ ფენებზე გველნის გამოსაკვლევად და სხვ. სანამ განვიხილავდეთ აღნიშნულ საკითხებს, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ რას წარმოადგენს იონოსფერო.

იონოსფერო დედამიწის ატმოსფეროს ძირითადი ფენაა, რომლის ქვედა საზღვარი დედამიწის ზედაპირიდან მდებარეობს დაახლოებით 70 კმ-მდე, ზედა საზღვარი კი აღწევს 700 კმ-ს.

იონოსფეროში არსევენ 4 რეგულარულ ფენას: D ფენა (70-80 კმ), E კენელი-პეისილის ფენა (100-120 კმ), F₁ ფენა (200-250 კმ) და F₂ ფენა (300-400 კმ). ამ ფენებიდან ყველაზე მდგრადია E და F₂ ფენა. F₁ ფენა არსებობს დღისით ზაფხულის თვეებში, ღამით იგი უჩრდობდა F₂ ფენას და ამრიგად იქმნება F ფენა. D ფენა წარმოიქმნება მხოლოდ დღის საათებში.

იონოსფეროს არეში ატმოსფეროში შემავალ არაგები დაიონებულ მდგომარეობაშია. მის უმთავრეს წარმომქმნელ ავენტს წარმოადგენს მზის ულტრაიისფერი გამოსხივება და კორპუსკულარული ნაკადები, რომლებიც მზიდან გამოდის. გარდა მზის გამოსხივებისა, როგორც იონიზატორები, მოქმედებს აგრეთვე კოსმოსური სხივები, მეტეორთა ნაკადები და სხვ.

აირის დაიონების მოვლენა მდგომარეობს იმაში, რომ მზის ულტრაიისფერი სხივების მოქმედებით აირის ატომები და მოლეკულები იშლება დადებით იონებად და უარყოფითი მუხტის მატარებელ ელექტრონებად. იონიზაციის ხარისხი ხასიათდება ელექტრონთა სიმკვრივით, ე. ი. ელექტრონების რიცხვით 1 სმ³-ში. ცხადია, ატმოსფეროში აირის იონიზაციასთან ერთად მომდინარეობს შებრუნებული მოვლენა — რეკომბინაცია, რომელიც მით უფრო ჩქარია, რაც მეტია ატმოსფეროს სიმკვრივე.



ფენების ელექტრონული სიმკვრივე იცვლება დღე-ღამეში მზის მდებარეობის მიხედვით. ასეთი ცვლილება ადსტურებს იმას, რომ იონოსფეროს არსებობის ძირითადი წყარო მზეა. თითქმის ყველა ფენაში, გარდა F₂ ფენისა, ელექტრონების ყველაზე უფრო დიდი სიმკვრი-

ვე შეიმჩნევა შუადღისას. გარდა ამისა, ფენებში ელექტრონების სიმკვრივე იცვლება წლიურ ცვლილებების აქტივობის მიხედვით. როგორც მზის აქტივობის მანძილზე, მზის აქტივობა იცვლება პერიოდულად. პერიოდის ხანგრძლიობა დაახლოებით 11 წელია. მისი აქტივობა განისაზღვრება მზეზე ლაქების რიცხვით. დადგენილია, რომ, რაც უფრო დიდი ფართობი უკავია მზის ლაქებს, იმდენად დიდია მზის ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსიურობა და, მაშასადამე, იმდენად დიდია ამ გამოსხივების მაიონიზებელი თვისება. როცა ლაქების რიცხვი დიდია (მზის აქტივობის წლები), ელექტრონების სიმკვრივე ფენებში გაიკლებით იზრდება.

გარდა რეგულარული ფენებისა, იონოსფეროში არსებობს სპორადული, ანუ არარეგულარული, ფენები. დედამიწიდან 90-110 კმ სიმაღლეზე ზოგჯერ არსებობს სპორადული ფენა E_s. იგი წარმოადგენს დაიონებული აირის გარკვეულ დაგროვებას „ღრუბლების“ მსგავსად, რომლებშიც ელექტრონების სიმკვრივე გაიკლებით დიდია იმავე სიმაღლეზე არსებული გარემოს ელექტრონულ სიმკვრივეზე. მას უკავია არც ისე დიდი არც (დაახლოებით 100×100 კმ) და გადაადგილება იონოსფეროში არსებული ქარების მოქმედებით. გადაადგილების სიჩქარე 150-200 კმ/საათი რიგისაა.

E_s ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება საშუალო სიგანეზე ზაფხულში, დღისით. ეკვატორულ რაიონში იგი არსებობს თითქმის ყოველთვის. ხოლო საშუალო სიგანეზე — 15-20 დღე თვეში. E_s არსებობის ხანგრძლიობა სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ იგი არსებობს რამდენიმე საათი, ზოგჯერ კი — რამდენიმე წუთი. მისი გამოჩენის სისშივე და მისი ელექტრონების სიმკვრივე არ არის დამოკიდებული მზის აქტივობის 11-წლიან ციკლზე.

F₂ ფენის არეში ადგილი აქვს ზოგიერთ პირობებში იონიზებული აირის დაგროვებას „ღრუბლების“ მსგავსად, რომლებიც ქმნის სპორადულ F_{2s} ფენას. ღრუბლების სიკოცხლის ხანგრძლიობა მცირეა, სულ რამდენიმე წუთი, და სწრაფად განიხნევა დიდუხითი.

F₂ ფენის ზეითი იშვიათად შეინიშნება ე. წ. G სპორადული ფენა, რომელიც მდებარეობს 600-700 კმ სიმაღლეზე. მას შეესაბამება ელექტრონების უფრო მეტი სიმკვრივე, ვიდრე F₂ ფენას. G ფენა ძალიან იშვიათად დაიკვირვება.

დაკვირვებებმა, რომლებიც განხორციელდა დედამიწის ზელოვან რაიონებში და რაკეტების საშუალებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ატმოსფეროს ზედაფენების შესწავლის საქმეში. ამ გამოკვლევების საფუძველზე დაუსტდა, რომ იონოსფერო წარმოადგენს ატმოსფეროს დაიონებულ გარემოს, რომელიც დედამიწიდან დაახლოებით 70 კმ სიმაღლეზე იწყება და აღწევს 1100 კმ-მდე და უფრო ზევიითაა.


იონოსფეროში არსებული ფენები, რომლებიც ზეით იყო აღნიშნული, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც

არტუტ ისე დიდი დაიონებული მაქსიმუმები იონოსფეროს გარემოს ფონზე.

როგორც აღვნიშნეთ, იონოსფეროს არსებობის ძირითადი აგენტია მზე მისი ულტრაიისფერი და კორპუსკულური გამოსხივებით. დღევანდლია, რომ კორპუსკულურ ნაკადს იძლევა მზის კორონა. შიდა ამოგარკვეულმა ნაწილაკების ნაკადმა რომ მიადწიოს დედამიწას, საჭიროა თითქმის 24 საათი. ნაკადის სიჩქარე, როგორც გამოთვლებით გამოირკვა, დაახლოებით 1600 კმ/წმ-ია. ეს სიჩქარე დიდაა, მაგრამ იგი საგრძნობლად ნაკლებია სინათლის გავრცელების სიჩქარეზე (300 ათასი კმ/წმ). სხეი მზიდან დედამიწამდე მანძილს ფარავს 8 წუთსა და 20 წამში. მზის დაბნელებისას მზიდან გამოდრეკეულ კორპუსკულურ ნაკადს ეძლევა მთავარი, რის გამოც კარმოზიზმა ჩრდილი. რადგან ნაკადის სიჩქარე გაცილებით ნაკლებია სინათლის სიჩქარეზე, ამიტომ კორპუსკულური ჩრდილი იქნება დედამიწის ზედაპირის სხვა დეგოზე, ვიდრე სინათლის ჩრდილი. რადგან ნაკადი ნაკლებია ნაკადის სიჩქარე სინათლის გავრცელების სიჩქარეზე, იმდენად უფრო დიდი იქნება დამოკრება კორპუსკულურ და სინათლის ჩრდილებს შორის.

მეტად მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნეს კორპუსკულური ნაკადით გამოწვეული აირის დაიონების წვლილი იონოსფეროში. ამ მოვლენაზე დაკვირვება ხდება მხოლოდ მზის დაბნელების დროს.

არსებობს იონოსფეროს შესწავლის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც მიზნად ისახავს განსაზღვროს იონიზებული ფენების სიმაღლე, მათი იონიზაციის სიმკვრივე, დაიონებული ნაწილაკთა თვისებები და სხვ. ამჟამად



იონოგრაფია, გადაღებული იონოსფეროს სადგურის საშუალებით. მასზე მოჩანს ელექტრომაგნიტური ტალღების არეკვლის სიგანეები იონოსფეროს დაიონებული ფენებიდან: 100 კმ-ზე — E ფენა, 200 კმ-ზე — F₁ ფენა, 260 კმ-ზე — F₂ ფენა, F₁ და F₂ ფენებში, როგორც ანიზოტროპიულ დაიონებულ გარემოში. ადამიკაბს ელექტრომაგნიტური ტალღის გახლეჩას (F_1 , F_2) და (F_1 , F_2) იონოგრაფაზე მკვეთრად ჩანს გახლეჩა F₂ ფენისათვის

ყველაზე გავრცელებულ მეთოდად იმპულსური მეთოდი ითვლება.

იმპულსური მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური რადიოდანადგარი ვერტიკალურად ზევით, იონოსფეროში, აგზავნის რადიოტალღების იმპულსებს. დაიონებული ფენებიდან იმპულსი აირეკლება და ბრუნდება უკან. მისი გაძლიერება ხდება რადიომიმდების საშუალებით და შემდეგ დაიკვირვება ელექტრონ-სხივიერ მილაკზე. იმპულსის ხანგრძლივობა და მისი განმეორების დრო ისეა შერჩეული, რომ მეორე იმპულსის გასხივება ანტენის მიერ მანამდე არ დაიწყება, სანამ პირველი იმპულსი ირ დაბრუნდება უკან.

იმპულსის მეთოდის გამოყენებისას უშუალოდ იზომება დრო, რომელიც დასჭირდება იმპულსს მიადწიოს იონოსფეროს სათანადოდ ფენას და შემდეგ დაბრუნდება უკან, დედამიწისაკენ. რადგან რადიოტალღების გავრცელების სიჩქარეა 300 ათასი კმ/წმ-ში, ამიტომ აღნიშნული დროის ინტერვალის ცოდნა საკმარისია, რომ მოინახვოს ამრეკლი ფენის სიმაღლე.

როგორც აღვნიშნეთ, 1961 წლის 15 თებერვალს მოხდა მზის დაბნელება. საპკოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტში, მზის სრული დაბნელების ზოლში, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიციები. ტალღის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სოფელ ტაბახმელაში (თბილისის მახლობლად) მოაწყო სპეციალური ლაბორატორია იონოსფეროს ფიზიკური მდგომარეობის შესასწავლად. აქ დადგმულ იქნა SP-3 ტიპის იონოსფერული სადგური, სადგური პანორამული, შეშაობს 0,5-დან 25 მეგაჰერტამდე. სიმძლავრე 25 კვტ-ს რიგისაა. იონოსფერული ფენებიდან არეკლილი რადიოიშვლები დაიკვირვება ელექტრონ-სხივიერ მილაკზე, რომლის გაღება ხდება ავტომატურად კინოაპარატის საშუალებით. უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროგრამაში შედიოდა ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმის გამოკვლევა იონოსფეროს ფენებში. ასეთი მასალით გასისაზრებება ფენებში რეკომინაციის პროცესის სიჩქარე მზის დაბნელების სხვადასხვა ფაზაში და სხვ.

უნივერსიტეტის იონოსფერულ პოლიგონზე ექსპედიციამ იმყოფებოდა საკუშირო აკადემიის დედამიწის მაგნიტოზმის, იონოსფეროსა და რადიოტალღების გავრცელების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებიც. მოსკოვის ექსპედიცია შესწავლიდა იონოსფეროს მახასიათებლებს, იონოსფეროს ფენების მდგომარეობას მზის დაბნელების სხვადასხვა ფაზაში. აღნიშნული მასალა საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს ფენების სიმაღლე, მათში ელექტრონების სიმკვრივე და სხვ.

დაკვირვებამ კარგად ჩაიარა. რადიოაპარატურა მოქმედებდა შეუფერხებლად. პროგრამით დასახელო მოიცავს გადაწყვეტილი იქნა. მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი ცნობები ჩვეს სივარდზე იონოსფეროს მდგომარეობის შესახებ. ამჟამად წარმოებს მიღებული მასალების დამუშავება.

ნერვული უჯრედის ფიზიოლოგიის შესწავლის საშუალებანი


თ. იოსელიანი თ. მონანი

ფიზიოლოგიის განვითარების ადრეულ პერიოდში ნერვული სისტემის მოქმედებაზე უშუალოდ დაკვირვება შეუძლებელი იყო და მისი მოქმედების კანონზომიერებაზე ორგანიზმის გარეგანი რეაქციებით — კუნთების შეკუმშვით თუ ჯირკვლების სეკრეციით — მსგელობდნენ. XVIII საუკუნეში იტალიელმა მეცნიერმა ლ. გალვანმა პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ ორგანიზმში ადგილი უნდა ჰქონდეს ელექტრობის წარმოქმნას. მეცნიერების შემდგომი მიღწევებით დადასტურდა, რომ ყოველი ცოცხალი ქსოვილის, და პირველ რიგში აგზნებადი სისტემების (კუნთოვანი და ნერვული სისტემების), ცხოველყოფილობის დროს, მართლაც, აღიძვრება ელექტრული პოტენციალი. თანდათან გროვდებოდა ფაქტები, რომლებიც მიუთითებდა, რომ ნერვულ და კუნთოვანი სისტემების აგზნების დროს ელექტრულ პოტენციალთა ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს ამ ქსოვილში მიმდინარე სპეციფიკურ სასიცოცხლო პროცესებს. აქედან დაწყებული ფიზიოლოგები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ცოცხალ ქსოვილში ელექტრულ ეფექტებს, რომელთა წარმოშობისა და ცვალებადობის პირობების შესწავლა ერთგვარ გასაღებს იძლეოდა ქსოვილში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კანონზომიერებათა დასადგენად. მაგრამ ნერვული და კუნთოვანი ქსოვილის ელექტრულ ეფექტთა ზუსტი შესწავლა პრაქტიკულად საკმაოდ ძნელი იყო, და მჭიდროდ უკავშირდებოდა ტექნიკის განვითარებას. სწორედ ტექნიკის განვითარების დონის შესაბამისად ყოველდღიურ ფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში თანდათან შემოდიან სიმაღლი გალვანომეტრი, შლიფიანი ოსცილოგრაფი და ბოლოს კათოდური ოსცილოგრაფი. ამ მეტად მგრძნობიარე აპარატთა საშუალებით შესაძლებელია ამ სუსტი ელექტრული ეფექტების შესწავლა, რომლებიც თან სდევს ნერვული სისტემის სპეციფიკურ მოქმედებას. დადგენილ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტები პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილების მოქმედების შესახებ. მაგრამ ნერვული სისტემა ერთმანეთთან დაკავშირებული ნერვული უჯრედებისაგან, ნეირონებისაგან, შედგება და ამიტომ მისი სინთეზური მოქმედების კანონზომიერებათა დადგენა ცალკეულ უჯრედებში მიმდინარე პროცესთა დაწვრილებით შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

ფიზიოლოგთა წინაშე დაისვა საკითხი ცალკეულ უჯრედთა პოტენციალების შესწავლის გზების გამოსანახად. ფიზიოლოგიურ ექსპერიმენტში მანამდე ხშირებული მეთოდები გამოუსადეგარი იყო ცალკეულ ნეირონთა ფიზიოლოგიის შესასწავლად, ვინაიდან ელექტროდები, რომელთაც ზურგის ტვინის პოტენციალთა გამოსაყვანად ათავსებდნენ ტვინზე ზემოდან ან კიდევ ტვინის სიღრმეში, ერთდროულად აღრიცხავდა მრავალი უჯრედის ელექტრულ ეფექტებს, ხეზოდა რა უჯრედთა და ბოჭკოთა მთელ გროვებს. გარდა ამისა, ცენტრალური ნერვული სისტემა, ანუ თავისა და ზურგის ტვინი, ქსოვილთა შორის სითხის არსებობის გამო ელექტროგამტარს წარმოადგენს, რის გამოც ელექტროდი აღრიცხავს არა მარტო უშუალოდ მის ირვლეო მყოფ უჯრედთა მოქმედებას, არამედ შედარებით დაცილებული ელემენტების აქტიურობასაც. იგივე თიქმის ნერვულ ბოჭკოთა შესახებ. მთლიან ნერვში ჩვეულებრივი მეთოდებით შეუძლებელია მისი შემადგენელი ნაწილების, ცალკეულ ბოჭკოთა იზოლირებული შესწავლა მაკროელექტროდების საშუალებით. იაპონელი მეცნიერის გ. კატოს ლაბორატორიაში (1934 წ.) ცალკეულ ნერვულ ბოჭკოებს გამოყოფდნენ მთლიანი ნერვული ღეროდან და ისე სწავლობდნენ მათ მოქმედებას. ამ დროიდან საფუძველი ეყარება ნერვული და კუნთოვანი ქსოვილის მორფოლოგიური ერთეულების შესწავლას, ანუ მიკროფიზიოლოგიას. შემდეგში ეს მეთოდი ფართოდ გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიაში. იგი დღესაც გამოიყენება ცალკეულ ნერვულ ბოჭკოთა, აგრეთვე კუნთოვან ბოჭკოთა შესასწავლად, მაგრამ სრულად გამოსადეგარია ნერვული უჯრედების მიმართ.

ზურგისა და თავის ტვინში მოთავსებული ნერვული უჯრედები მეტად რთული ფორმისაა (ზურგის ტვინის მულტიპოლარული მაიმორავებული და მუამდებარე უჯრედები, დიდი ტვინის ქერქის პარამიდული ნეირონები, ნახევრში პურიკინის და კალათისმაგვარი უჯრედები და სხვ.), მათი დენდრიტები და აქსონები ერთმანეთშია გადახლართული და ამიტომ მათი ანატომიური გამოყოფა ტვინის მთელი მასიდან დაუზიანებლად თითქმის შეუძლებელია. მართალია, ჩინელმა მეცნიერმა ჩეუმ (1954 წ.) ცენტრიფუგირების გზით შეძლო ტვინიდან ცალკეულ ნერვულ უჯრედთა გამოყოფა, მაგრამ

ამ პროცედურის ჩატარება მხოლოდ მკვდარ უჯრედებზე შეიძლება და, ცხადია, მნიშვნელოვან შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უჯრედის ფორმის, ანატომიის შესწავლის საქმეში. კიდევ რომ მოხერხდეს ცოცხალ ნერვულ უჯ-



ნახ. 1. ნერვული უჯრედიდან ელექტრული პოტენციალების გა-
მოყვანის სქემა. ა — უჯრედის ბირთვი, ბ — დენდრიტის დასაწყისი;
გ — აქსონის დასაწყისი, დ — მიკროელექტროდები, მოთავსებული უჯ-
რედის გარეთ, ე — გამაძლიერებელი აპარატი, ვ — ოსცილოგრაფის
ერანი, ზ — ნულოვანი ხაზი, თ — მემბრანული პოტენციალი, მ — ნერ-
ვული უჯრედის პლარმაგული მემბრანა.

სქემაზე ჩანს, რომ როცა ორივე მიკროელექტროდი უჯრედის
გარეთ არის მოთავსებული, ოსცილოგრაფი პოტენციალთა სხვაობას
არ აღნიშნავს. ეკრანზე მხოლოდ ნულოვანი ხაზია. ენაღდან ორავე
ელექტროდის ქვეშ ერთი და იგივე ინტენსიურობის დადებითი პო-
ტენციალია (1). როცა ერთი მიკროელექტროდი უჯრედის შიგნით
შეიყვანება, ოსცილოგრაფი პოტენციალთა სხვაობას აღნიშნავს. სხი-
ვი ნულოვანი ხაზიდან სწრაფად იწევს ქვევით (2). ჩ — სიმძლავრე
მემბრანული პოტენციალის სიდიდეს აღნიშნავს. ჩვეულებრივ, იგი
70-80 მილივოლტის ფარგლებში მერყეობს

რედოთ გამოითქვამს ტვინიდან, მისი ნორმალური პოქმე-
დების დადგენა რეფლექსურ რეაქციებში მინც შეუძ-
ლებელი იქნებოდა, რადგან იგი დეკარავდა კავშირებს
იმ ნერვულ ელემენტებთან, რომლებთანაც დაკავშირე-
ბულია ბუნებრივად და მონაწილეობას იღებს ამა თუ
იმ ფუნქციის შესრულებაში. ღირსეულად აგრეთვე მი-
სი ნორმალური სისხლის მიმოქცევა, რაც მნიშვნელოვ-
ნად დასცემდა უჯრედის ფუნქციურ მდგომარეობას.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში, ტექნიკის განვითარებას-
თან დაკავშირებით, მოხერხდა სათანადო სიზუსტის
შემთხვევები, რის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ცოც-
ხელ უჯრედთა მოქმედების შესწავლა მილიანი ორ-
განისმიდან მათი ხელოვნური გამოყოფის გარეშე.


პირველი პირობა, რომლის დაცვა აუცილებელია
ცალკეულ უჯრედთა ელექტრული ეფექტების აღსარიც-
ხავად, გამოყვანი მიკროელექტროდის სიმცირეა. ამ
მიზნით გამოიყენება ლითონის ნემსისმაგვარი ელექტ-
როდები, რომელთა დიამეტრი რამდენიმე მიკრონს არ
აღემატება. მიკროელექტროდი გარედან დაფარული უნ-
და იყოს საიზოლაციო ნივთიერებით. არაიზოლირებული
რჩება მხოლოდ ელექტროდის წვეტი. ასეთი მიკროელე-
ქტროდი სპეციალური მიკროხრახანის საშუალებით მი-
იტანება ნერვული უჯრედის ან ბოქვოს მახლობლად,
რაც საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ამ უჯრედის
ელექტრული ეფექტები მისი ფუნქციონალური მოქმე-
დების დროს. ცალკეულ ნეირონთა პოტენციალების აღ-
რიცხვის აღნიშნულ მეთოდს პოტენციალთა უჯრედგარე-
თა, ანუ ექსტრაცელულარულ, გამოყვანას უწოდებენ.
ექსტრაცელულარულ გამოყვანას მრავალ დადებით
მხარესთან ერთად გარკვეული ნაკლიც გააჩნია. მართა-
ლია, იგი საშუალებას იძლევა დიდერენცირებულად შე-
ვისწავლოთ ერთი ან, მაქსიმუმ, ორი-სამი უჯრედის
ელექტრული მოვლენები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.
საქმე ისაა, რომ უჯრედები ტვინში გარშემორტყმულია
ე. წ. უჯრედშორისი სითხით, რომელიც ელექტროგამ-
ტარია და ამიტომ უშუალოდ როდს ასრულებს. ამის გამო
ნეირონის პოტენციალთა ძლიერ მიკროდება, ხოლო სუს-
ტი ელექტრული რხევები საერთოდ არ აღირიცხება. უჯ-
რედის ფიზიოლოგიის შესწავლის საქმეში დიდი გარ-
ღებუა შეიძლება ე. წ. უჯრედშეშლითა, ანუ ინტრა-ცელ-
ლარული რეგისტრაციის, მეთოდის გამოყენებაში. ამ
მეთოდის გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ
მიკროელექტროდი, რომლითაც აღირიცხება უჯრედის
პოტენციალები, შეიყვანება უშუალოდ უჯრედის სხე-
ულში. რეგისტრაციის ამ პირობებში შესაძლებელი იწე-
ბა, ერთი მხრივ, ცალკეულ უჯრედთა პოტენციალების
შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, სულ მცირე ელექტ-
რული რხევების აღრიცხვა.

უჯრედშიკა პოტენციალების აღსარიცხავად ლითო-
ნის ელექტროდები არ გამოადგება. მართალია, ლითონის
მიკროელექტროდის დამზადება პრაქტიკულად შედარე-
ბით ადვილია, მაგრამ მისი წვეტი 1-0,5 მიკრონიანი ნი-
ამეტრის შემთხვევაში მეტად რბილია და უჯრედის გარ-
სთან შეხებისას იღუნება. ამიტომ, ჩვეულებრივ, გამოი-
ყენებენ მინის კაპილარულ მიკროელექტროდს, რომე-
ლიც მეთი სიმტკიცით და დრკადობით ხასიათდება იმ
შემთხვევაშიც კი, როცა მისი წვეტი 0,5 მიკრონზე ნა-
ლებია. კაპილარი განსაზღვრული პირობების დაცვით

ივსება 3 მოლარობის KCl-ის ხსნარით იმ მიზნით, რომ ღამყარდეს კონტაქტი უჯრედის შიგთავსსა და მიკროკაპილარში მოთავსებულ ელექტროდს შორის. მიკროელექტროდის უფრო მეტი სპეციალურ გამაძლიერებელ აპარატს, რომლის საშუალებით ხდება უჯრედის პოტენციალების გაძლიერება და მისი რეგისტრაცია კინოფირზე. ელექტროლიტით ავსილი კაპილარული მიკროელექტროდის წვეტის დიამეტრი მცირე უნდა იყოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნერვული უჯრედი მიკროელექტროდის შეყვანის პროცესში მექანიკურად არ დაზიანდეს, მეორეც იმიტომ, რომ მიკროელექტროდში არსებული ხსნარის კონცენტრაცია (3 მოლ.) გაცილებით მეტია (დაახლოებით 20-ჯერ) უჯრედის შიგთავსის კონცენტრაციასთან შედარებით, რის გამოც იონები დიფუზიის საშუალებით გადადის მიკროელექტროდიდან. უჯრედის შიგნით, ამით კი უჯრედის ფუნქციური მდგომარეობა საგრძნობლად უარესდება. რაც უფრო ნაკლები იქნება უჯრედში მოთავსებული მიკროელექტროდის წვეტის დიამეტრი, მით ნელი იქნება იონების დიფუზიური გადასვლა უჯრედში. თავის მხრივ მიკროელექტროდის დიამეტრის შემცირება მნიშვნელოვნად აღიძვებს ელექტროდის წინააღმდეგობას (50 მეგომი და მეტი), რის გამოც სარეგისტრაციო სისტემა ამახინჯებს უჯრედის პოტენციალის ფორმას და ამცირებს მის ამპლიტუდას. პოტენციალთა დამახინჯების თავიდან ასაცილებლად მიკროელექტროდსა და ბიოპოტენციალთა გამაძლიერებელ აპარატს შორის შეტანილი უნდა იქნეს სპეციალური მოწყობილობა ე. წ. უარყოფითი ტევადობით. უარყოფითი ტევადობა საჭიროა გამაძლიერებლის შესასვლელზე პარაზიტული ტევადობის ბალანსირებისათვის.

პოტენციალთა უჯრედშიგა რეგისტრაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა იმ ძირითადი კანონზომიერების დადგენა, რომელთა საფუძველზეც სრულდება უჯრედის ცხოველმოქმედება. კერძოდ. უჯრედშიგა მიკროელექტროდების გამოყენებით დამტკიცდა, რომ ნეირონის გარეთა ზედაპირი პოლარიზებულია, ე. ი. რომ ნეირონის პროტოპლაზმის ზედაპირული შრის გარეთა და შიგა ზედაპირებს შორის პოტენციალთა სხვაობა არსებობს, რომელსაც მეტწილად პოტენციალს უწოდებენ. რა იწვევს მემბრანული პოტენციალის წარმოშობას, ანუ უჯრედის ზედაპირული შრის პოლარიზაციას? ნერვული უჯრედის შიგთავსი, ისევე როგორც კუნთოვანისა და სხვა ცოცხალი უჯრედების შიგთავსი, შედგება რთული ცილოვანი ნივთიერებისაგან, ლიპოპროტეიდებისაგან, და მათთან დაკავშირებული წყლისაგან. ცოცხალ ნეირონში განუწყვეტლოვ მიმდინარეობს ნივთიერებათა ცვლა, რომლის დროსაც ადგილი აქვს ლიპოპროტეიდების განუწყვეტლოვ დაშლა-აღდგენას. ნივთიერებათა ცვლას კი თან სდევს თავისუფალი იონების, კათიონებისა და ანიონების, წარმოქმნა. ისინი დიფუზი-

ურად მოძრაობენ უჯრედშიგა არეში და ზედაპირული შრემდეც თავისუფლად აღწევენ. აქ მათი მოძრაობის გზაზე იქმნება გარკვეული შეფერხება. საჭე იწავს, რომ პროტოპლაზმის ზედაპირული შრე თავისი სპეციალური განსხვავდება პლაზმის სხვა ნაწილებისაგან და შეიძლება განეწიოს გამტარ აქს. ამის გამო პროტოპლაზმის ზედაპირული შრე განვლადია მხოლოდ ნაწილი იონებისათვის, რის შედეგადაც იონთა შედგენილობა ზედაპირული შრის გარეთა და შიგა ზედაპირებზე ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს გასაადვილდა; რადგან ის იონები, რომელთა მიმართ პლაზმის ნახევრადგანვლადი შრე, ანუ მემბრანა, გაუმტარია, დაგროვდება მხოლოდ უჯრედის შიგნით. უჯრედის გარეთ კი ეს იონები ვერ აღწევენ. მაგრამ საინტერესოა, რომ იმ იონების კონცენტრაცია კი, რომლებიც შედარებით ადვილად გადის მემბრანას, ერთნაირი არაა მემბრანის გარე და შიგა ზედაპირებზე. გამავალი იონების ასეთი არათანაბარი განაწილება გამოწვეულია იმით, რომ მემბრანა არ



ნახ. 2. ნერვულ უჯრედში შეყვანილი ორარბიანი მიკროელექტროდი

წარმოადგენს პასიურ ნახევრად გამტარ აქს, სადაც მხოლოდ ფიზიკა-ქიმიური კანონები მოქმედებს (როგორც ამას წინათ ფიქტობდნენ). ზედაპირული მემბრანა რთული ბიოლოგიური წარმონაქმნია, რომელშიც მრავალგვარი ფერმენტული პროცესი მიმდინარეობს. მემბრანის ფიზიკა-ქიმიური თვისებებისა და მასში მიმდინარე ფერმენტული პროცესების შედეგად ადგილი აქვს იონთა ისეთ განაწილებას უჯრედის შიგნით და გარე ზედაპირებს შორის, რომ მემბრანის გარეთ არსებული იონების შევამებული მუხტი დადებითი ნიშნისაა მემბრანის შიგნით არსებულ იონთა შევამებული მუხტის მართ. ამიტომ არის, რომ მიკროელექტროდის უჯრედში შესვლის დროს აღირიცხება პოტენციალითა სხვაობა, რაც ოსცილოგრაფის ეკრანზე კათოდური სხივის სწრაფი ნახტომისებრი გადაადგილებით აღინიშნება. აღსანიშნავია, რომ პოტენციალით სხვაობა მემბრანის გარე და შიგნით ზედაპირებს შორის არსებობს და არა უჯრედის სხვადასხვა ადგილებს შორის (ნახ. 1).

ამრიგად, უჯრედის მემბრანის პოლარიზაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნერვული უჯრედის მიერ სპეციფიკური ფუნქციის შესრულებაში (აგზნების წარმოშობასა და მის გატარებაში), განპირობებულია იონების არათანაბარი განაწილებით უჯრედის პოტენციალს შინაგანად შრის შიგნით და გარე ზედაპირებზე. ნერვულ უჯრედში, ისევე როგორც ყველა სხვა ცოცხალ უჯრედში, მრავალი იონი — ან იონი თუ კათიონი — არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს მემბრანის პოლარიზაციისათვის, მემბრანული პოტენციალის წარმოშობისათვის. ცალკეულ იონთა მნიშვნელობის გარკვევა ნახევრად განვლადი მემბრანის პოლარიზაციაში შესაძლებელია უჯრედის შიგნით ამა თუ იმ იონის შეყვანით და მისი გავლენის შესწავლით მემბრანულ პოტენციალზე. უჯრედში მოცემული იონთა სასურველი რაოდენობით შეყვანა ელექტროფორეზის საშუალებით შეიძლება. ამისათვის კაპილარულ მიკროელექტროდს, რომელიც შეიყვანება უჯრედის შიგნით, ავსებენ ელექტროლიტით, რომელიც სასურველ იონებს შეიცავს. ამის შემდეგ მიკროელექტროდში ატარებენ მუდმივ დენს, რომელიც მიკროელექტროდის საშუალებით შედის უჯრედში. აქედან კი ისევ გამოდის უჯრედგარეთ. დენის შესვლა უჯრედში ხდება იონების გადაადგილების ხარჯზე. ამიტომ, იმისდა მიხედვით, თუ რა მუხტის მატარებელია უჯრედში შესაყვანი იონი, საჭიროა სათანადო მიმართულების დენის არჩევა. კათიონების (Na, K და სხვ.) გადასატანად მიკროკაპილარია

უჯრედში მიკროელექტროდს უერთებენ მუდმივი დენის დადებით პოლუსს (ანოდს), ხოლო ანოდიდან გადასატანად — უარყოფით პოლუსს (კათოდს). მუდმივი დენის ინტენსიურობისა და გატარების ხანგრძლივობის დოზირებით შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს უჯრედის შიგთავსის იონური შედგენილობა. გამოანაზრებულია, რომ 5.10⁻⁶ ამპერი დენის შემთხვევაში იონები მოძრაობს 3.10⁻¹¹ გ ევ/წუთ. სიჩქარით. ელექტროფორეზის საშუალებით პოტენციალში შეცვლილი იონური შედგენილობა მუდმივად არ რჩება. უჯრედში არსებული მექანიზმების მოქმედების საფუძველზე გარკვეული ხნის შემდეგ (2-3 წუთი) აღდგება ნორმალური მდგომარეობა. ამიტომ მემბრანის პოლარიზაციაზე გარკვეულ იონთა გავლენის შესწავლა უნდა ხდებოდეს ჯერ კიდევ უჯრედში შეყვანის პროცესში. ამ მიზნით გამოიყენება იონარბიანი მიკროელექტროდი (ნახ. 2), რომლის ერთ-ერთ არხს ავსებენ სასურველი იონების შემცველი ელექტროლიტით. იმისდა მიხედვით, თუ რა მუხტის მატარებელია ეს იონი, მიკროელექტროდის ამ არხში ატარებენ სათანადო მიმართულების მუდმივ დენს. მიკროელექტროდის მეორე არხს უერთებენ საეგისტრაციო აპარატს — ოსცილოგრაფს. მას შემდეგ, რაც მიკროელექტროდში შეიყვანენ უჯრედის შიგნით და აღირიცხავენ მემბრანულ პოტენციალს, მიკროელექტროდის ერთ არხში ატარებენ მუდმივ დენს და იკვლევენ მემბრანულ პოტენციალის ცვლას უჯრედში სათანადო იონების გარკვეული რაოდენობით შესვლასთან დაკავშირებით. ამგვარი ცდების საფუძველზე გაირკვა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მემბრანული პოტენციალის წარმოშობისათვის და აგრეთვე ნერვული უჯრედის სპეციფიკური მოქმედების, აგზნების დროს აღძრული ელექტრული პოტენციალების გამოვლენისათვის Na, K და Cl იონებს მიეკუთვნება.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ უჯრედშიგა მიკროელექტროდების ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელი გახდა, ჯერ ერთი, ცალკეული ნერვული უჯრედების ნორმალური მოქმედების ზუსტ კანონზომიერებათა დადგენა, ხოლო მეორეც ამავე ტექნიკის მეშვეობით შეიძლება შევცვალოთ უჯრედშიგანით არსებული არე, ზეგავლენა მოვახდინოთ უჯრედში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებზე, სხვადასხვა პირობებში ჩავეყენოთ ეს პროცესები და ამ გზით დაავადონით ის მექანიზმები, რომლებიც განაპირობებს, ეკრძოდ, ნერვული უჯრედის და, საერთოდ, ნერვული სისტემის მოქმედების კანონზომიერებებს.

გეოგრაფიკისა და ბუნების კოლონიზაცია



• მიმდინარე წლის 5 ნოემბერს შესრულდა 80 წელი, რაც ღიბა რუსმა კონსტრუქტორმა და გამოგონებელმა ალექსანდრე თეოდორეს ძე მოვაისკიმ მართლაც ავაო თვითმფრინველი. ეს იყო მსოფლიოში პირველი თვითმფრინველი, რომელიც რუსეთში თითქმის 20 წლით გაუსწრო ამერიკის ამ დარბში, ხოლო მოვაისკი — თვითმფრინავის პირველი აღიარებული გამოგონებელი მსოფლიოში.

ა. მოვაისკი დაიბადა 1825 წლის 21 (9) მარტს მუხლავურის, ვილე-ადმირალის ოჯახში. ბავშვობა მან ისევ როგორც მისმა მამამამს, ზღვაზე გაატარა. 12 წლის ალექსანდრე მიიბარეს საზღვაო აკადემიაში, პეტსში, რომელიც 1841 წელს წარმატებით დაამთავრა და ჩაირიცხა ბალტიის სამხედრო-ავიაციო ფლოტში გარდამხანაის (საზღვაო-ავიაციოს უფროსი ასეთლის აღმასრულებლის) ყალბმა რეკომენდაციად რუსეთში. თანამდებობაზე მალე მას მიმინათა მანქანის და მანქანის მგერილმეტი საზღვაო კაპიანში. იგი გამოირჩეოდა, როგორც ნიჭიერი და ინოვაციური საზღვაო ოფიცერი, რომლის ცხოვრებამ აღსაქვ იყო საინტერესო შემთხვევებით და თავდადასავლებით. მისი თავგანწირულება, დაუღალაობა და ამბიანობა სიყვარულს იწვევდა მეზღვაურებსა და ოფიცერებს შორის. საზღვაო სამსახურთან ერთად იგი გატაცებით სწავლობდა მექანიკას, მზავრებლობით გეომეტრიას, გეომეტრიკის თეორიას, გეოდეზიას, გეგმის ამქმედებებს, უცხო ენას. ამავე დროს იგი იყო ნიჭიერი მხატვარი. განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა მოვაისკი გეომეტრიკის სიახლოვეზე, იგივედ ახალადა ხელსაწყოებს ადრინა გეგმების სისწრაფის გასაუმჯობესებლად.

სწორედ ადრინა გეგმებზე დიდი ხნის მუშაობამ, თვით აფრებამ და საპაერო ფრანის ხშირმა გამოყენებამ გეგმის საფუძვლზე ჩაერდნის დროს მიიყვანა იგი იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია ფრანის მფრავის აპარატით ფრანა, შთააგონა მას ავეო ისეთი ზომილი, რომელსაც „შეშვლებიდა არა მარტო ზღვაზე ტრავა, არამედ პაერში ფრანე“. ეს იყო მიზეზი, რომ იგი, ჭკრ კიდეც სრულად ახალაგზარდა, გადადგა სასამხრედინა

და დაიწყო თავისი იღვის განხორციელებისთვის მუშაობა.

ა. მოვაისკით შეისწავლა ფრინველთა აღნაგობა და ფრანა, მათი ფრთების სტრუქტურა და მოძრაობა, შემდეგ გადვიდა ხელნაწერით ფრთების — ფრთების გაშვებაზე, ხოლო შემდეგ საპაერო ფრანებზე. არკვედა ამ უქანასწელთა აწვევასა და მდგრადობას. და, ბოლოს, 1876 წელს, მან უღიდეს წარმატების მიღწევა, ევბერითელ ფრანით, რომელსაც სამი ცხენი ატყუნებდა, იგი „ორჯერ ავიდა პაერში და ფრინველი კომფორტულად“.

მოვაისკის ამ საპაერო ფრანმა მეცნიერებისა და ინჟინრების ფართო წრის ყურადღება მიიპყრო, ხოლო მოვაისკი ცნობილი გახდა, როგორც ეტონებით ნიჭიერი მეცნიერი ავიაციისა და პაერნოსების დარგში. წლების მანძილზე მოვაისკი აღმოგებდა საპაერო ფრანს, იცვლდა სანაგესაპაერო ზრანების, რათა გეგრეკია უკვე უფრო ხელსაყრელი თანაფრანობა ფრთების დიამეტრს, ბეგსა და რიცხვს შორის და დაედგინა საპაერო ფრანის უკეთესი კონსტრუქცია.



სტრუქტურა. ბოლოს იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „რაც უფრო მეტია მოძრაობის სიჩქარე, მით უფრო მეტი სიმძიმის ტრავა შეუძლია იმავ ფრთობს“.

საპაერო ფრანების გამოცდის შემდეგ მოვაისკი გადადგა საფრენი აპარატის მოდელების შექმნაზე. ეს მოდელები აღსანიშნავია იმით, რომ მას აქვს თანამედროვე თვითმფრინავის ყველა ელემენტი. ისინი მოძრაობაში მოდიოდნენ საპაერო ხაზებზე. მოვაისკი თანდათანობით აღმოგებდა მოდელებს, იცვლდა მათ აწვევას, მდგრადობას და მართვლობას, განსაზღვრავდა აწვევას ძალის დამოკიდებულებას ფრთის ფრთობზე, შეტევის კუთხესა და ფრენის სიჩქარეს, არკვედა ავიაციულ თანაფრანობას სპიის ფრთობასა და ფრთების ფრთობს შორის.

მოვაისკის ამ მოდელებზე აღიარება პრესა და მეცნიერების ფართო წრეებზე. ღიბმა წარმატებებმა მოვაისკის მისი ცდილი განეკუთრა მუშაობა, მან გადაწყვიტა ავეო ნამდვილი თვითმფრინავი. ამ მიზნით 1876 წელს თბონით მამართა სამხედრო სამინისტროს მისთვის დაეყოფიოთ სასხრები ცდების გასაგრძელებლად. სპეციალურმა სასხრებო კომისიამ განიხილა მისი თბონა და მდგრადების დიდი მზარდავერით (რომელიც კომისიის შემადგენლობაში შედიოდა) გაიღო მეცნიერების თბონა, ამასთან გამოგონებულს დაავალა წარმოგდინა გაავალისწინებელი სამუშაოს დაწერების პრაგრაფი. მოვაისკიმ წარადგინა „საფრენი აპარატის მოდელზე ცდების პრაგრაფი“, სადაც მოცემულია იგი თვითმფრინავის დამუშავებითი აღწერა, განავრცობაზე და ნახებზე, აგრეთვე ხარტოდასკვლა, რომელშია ჩამოყალიბებული თვითმფრინავის ასაგებად საპირი მასალები.

ამერად მოვაისკიმ უარი მიიღო. კომისიამ, რომლის შემადგენლობაში უცხოელები იყვნენ, გამოტანა მეტად უსუსური დასკვნა — მფრინავ მანქანებს უნდა ჰქონდეს მოძრაობა ფრთობით. მოვაისკიმ მთავრობას მიმართა, მაგრამ ამოდ. ბოლოს მან გადაწყვიტა თავისი ძალიან ავეო თვითმფრინავი და 1880 წლის 16 ივნისს გაგზავნა საპაერო განცხადება, რაც დამყოფილებულ იქნა 1881 წელს. ეს იყო პირველი პატენტი, რომელიც გაიქცა თვითმფრინავის მშენებლობაზე, ხოლო მოვაისკი ოფიციალურად იქნა აღიარებული თვითმფრინავის გამოგონებელი. 1882 წელს თვითმფრინავი უკვე აგებულ და გამოდილობდა იქნა.

ეს პირველი თვითმფრინავი — პაერ-საფრენი კუჩი" წარმოადგენდა ხისგან დამზადებულ ნავისკორპუსს, რომელიც კარმერკრული იყო ჯარებში მსოფლიო. კორპუსის ქიშთან მიმაგრებული იყო ორი ნაწევრისგან შემდგარი, ოდნავ ზემოთ ამო-შვრილი, ფეხისგან დაშლადებული ფრთა, რომელიც შემოკრული იყო პარამულზე და ლაქით გაფლეთილი აბრეშუმის სწოვლით. სამ ობსერვაციას ხრახნს აბრუნებდა თვით-მფრინავის კორპუსში მოთავსებული 30 ცხ. სიმძლავრის ორი ორბოლის მანქანა. წინა 10 ცხ. ძაინი მანქანა აბრუნებდა კორპუსს ცხიარის ნაწილში მოთავსებულ ხრახნს, ხოლო უკანა, 20 ცხ. ძაინი — ფრთების ამო-ნაპერბში მოთავსებულ ორ უკანა ხრახნს. კორპუსის გრძივი ღერძის მიმართ 3-5-ით დაყენებული იყო თხელი, სწრაფი ფრთა, რომელიც ქვემოდაც და ზემოდაც მაგრდებოდა თხელი ფოლადის გვერდის ქიშთისა. ეს ქიშთი ზემოთ ემაგრებოდა ორ დაბალ ანძას, ხოლო ქვემოთ — ობსერვაციის ურ-ის ღერძებს. ეს ხელს უწყობდა თვითმფრინავის მიწაზე მოძრაობას.

ნავისებრი ფორმა თვითმფრინავს წააღებდა საშუალებას აძლევდა, ამიტომ წააღებდა ნაწილის გარსაკარ გავლენილი იყო წააღებულზე ნიათიერების თვით-მფრინავის კულის ფრთისგანულობა შედგებოდა სინაღლისა და შობრუნების საყვებისაგან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ 80 წლის წინათ დამზადებულ თვითმფრინავს კონსტრუქტორს სქემის არ გაუცდია აზა-თიარის ცვლილება და ამგვარად გაზარ-ნებულად ითვლება თვითმფრინავის შენე-ლობაში.

ა. მოეიკიმ არა მარტო პირველმა გამო-იგნარა, ააგო და გამოცდა თვითმფრინავი, არამედ საფუძველი ჩაუყარა თვითმფრინავთმშენებლობის რუსულ სკოლას. მისი გამოგონების შემდეგ ავიაციისა და პერ-ნაოსნობის დარგში მიღწეულ იქნა უდიდესი წარმატებები ნ. მოეიკის, ნ. თუეკის, ს. ჩაპლინის, კ. ციოლოვსკისა და სხვა-თა მიერ.

დღეს, 80 წლის შემდეგ, როცა მძლავრი საბჭოთა საფრენი აპარატები სრულად სი-არტეებს, უარესად განვითარებული რეაქ-ტიული და ტურბორეაქტიული ავიაცია, არ შეიძლება არ გავისინოთ მათი წინაპარი — პაერში აფრენილი პირველი თვითმფრინავი და მისი პირველი ნაბიჯები.

თ. ლომთაშვინიძე ა. ლეჟავე

* მიმდინარე წლის 11 ნოემბერს შეს-რულდა 250 წელი გამოჩენილი რუსი გე-ოგრაფის, ისტორიკოსისა და ბუნებისმეც-რის, კამატკის ნახევარკუნძულის პირ-ველი მკვლევარის აკადემიკოს სტეფანე

პეტრეს ძე კამატკინიკოვის დაბადებისა.

კამატკინიკოვი დაიბადა 1711 წელს მოს-კოვში, პეტრე დიდის არმიის გარსაკის თვანში. 1724 წელს იგი მიიბარეს მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლოთინურ აკადემიაში. აღსანიშნავია, რომ 1731 წელს აქედან წა-შველა გენიალურმა რუსმა მეცნიერმა-ენ-ციკლოპედისტმა მ. ვ. ლომონოსოვმა, რე-ზულტად შემდგომი კამატკინიკოვის დიდი მო-გობარი გახდა.



1724 წელი რუსული მეცნიერების ისტ-რიაში ორი დიდი მოვლენის აღინიშნა. ამ წელს გაიხსნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია და ამავე წელს დაიწყო დიდი ექ-სპედიციის ორგანიზაცია, რომელიც შემდეგ ამხატის ექსპედიციის სახელით შევიდა ისტორიაში. იგი 1725 წლიდან 1730 წლამ-დე გრძელდებოდა და აღინიშნა მნიშვნე-ლოვანი გამოკვლევებითა და აღმოჩენებით აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ამის შემდეგ, 1732 წელს მოეწყო მეორე ექსპე-დიცია, რომელშიც მონაწილეობდა კამა-ტკინიკოვი. ამან განსაზღვრა კამატკინიკოვის მთელი შემდგომი ცხოვრების გზა. 1732 წელს იგი მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლო-თინური აკადემიის 12 წარჩინებულ მოწე-ფისთან ერთად კამატკის მეორე ექსპედი-ციის მონაწილეობის მისაღებად პეტერ-ბურგში გაიგზავნა. გეოგრაფიულ აღმოჩე-ნათა ისტორიაში ამ ექსპედიციამ მთელი ენაა შექმნა. თავისი გაქანებითა და მე-რეტირული შედეგებით ეს მართლაც გრანდი-ოზული ექსპედიცია იყო, რომელსაც იმ დროისთვის მსოფლიოში ბადალი არა ჰქონდა. ექსპედიცია დაიწყო იყო რაზმე-ვად. რაზმს, რომელსაც გ. ბერინგი და ა. ჩირიკოვი მეთაურობდნენ, დაევალა უცნო-ბის ამერიკულ ნაპირების გამოკვლევა და იპოვნის რადიკალიზების გზის მოძებნა. ექსპედიციის წინაშე დასმული იყო ომბი-რისა და განსაზღვრებითი კამატკის სუსტად შესწავლილი ტერიტორიების გამოკვლევისა და აღწერის ამოცანა. იგი უნდა შეესა-რულებინა რაზმს, რომელიც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ შექმნა.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე კამატკინი-კოვი აკადემიის სტუდენტად ჩაირიცხა. 1733 წელს ექსპედიციისათვის მზადება და-თავდა. იმავე წლის მარტში პეტერბურგე-დან გაიდა პირველი ექსპედიციის მძღო-ტოში — აკადემიის რაზმი, რომელშიც ნ. კამატკინიკოვი ირიცხებოდა. რაზმში შედი-ოდნენ აკადემიკოსები: ბუნებისმეტყველო-გემელონი, ისტორიკოსი მღეროი, ასტრონომი-დელა კორობოვი და სხვ. კამატკინიკოვის შრომისმოყვარეობა და მეცნიერებადმი მიხედვითა და სიყვარული გზაზეც გამო-ვლიდა, რაც სათანადოდ შეაფასეს გე-ლონიზმა და მოღერმა. მალე მას დამოუკლდე-ბელი დავალებები მისცეს, რასაც იგი მთე-ლი მონდობითა და გულსისფრით ასრუ-ლებდა. მას დამოუკლდებად აღწერა კო-ლონიის ქარხნები ალტაიზე, აგრეთვე ვერ-ცხლის ქარხნები, იცხიკა ენისებურ ზეიმი, იმპერატორა მდ. ონისის ბოლო წყაროებიც და სხვ. უფრო საინტერესო მარტებში ჩაატარა მან მის შემდეგ, რაც ექსპედიცია ირეკტორში შევიდა. ირეკტორიდან იმოზ-ურა ბაიკალზე. მდ. ბარგუზინსა და ლენაზე, ღერძის შემდინარე ვიტიშზე, სწავლობდა ქარსის საბადოებსა და მღაშე წყაროებს. მდ. ვიტიშზე კამატკინიკოვმა შეაფარა ცნობები თავისი პირველი ექსპედიციის შრომისათვის („О сибирском промысле“). ამ შრომაში იგი უკვე დამოუკლდებდ მკვლევარად გვევლინება.

1737 წელს მკვლევარები იკეტესში მი-ვიდნენ. იკეტესამდე კამატკინიკოვმა რაზ-მთან ერთად ჩააღწიოთ ათასი კილომეტრი გაიარა და უდიდესი გამოკვლევა მიიღო როგორც მეცნიერული კვლევის, ისე მძიმე პირობებში ექსპედიციის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში. შეიძლება თქვას, რომ კამატკინიკოვის უმრეტესმა ენერგიამ და შრომისმოყვარეობამ, აგრეთვე გზაში მი-ღებულმა გამოკვლევებმა განაპირობეს ის უდიდესი შედეგები, რაც კამატკის ექსპე-დიციის მთავრად.

კამატკაზე კამატკინიკოვი გმელისა და მოღერის ერთად უნდა გამგზავნილყოი, მაგრამ გმელისა და მოღერმა კამატკაზე კამატკინიკოვი და დელა კორობოვი გაგზავ-ნეს, თითქმის წინასწარ სამუშაოების ჩა-სატარებლად. სინამდვილეში მათ გაღმეკე-რებს არ წასულთყვენენ კამატკაზე და კამა-ტკინიკოვისაგან ფარულად დაიწყეს მიმოწე-რა სინათლე, რათა მიეღოთ ამის შესაძ-ლებათა. ასეთი ენებარების გამოთხოვი-ბისზე იყო ის, რომ მათ შეეშინდათ იმ მძიმე პირობებისა, რომელიც დაეკმარე-ბული იყო მომავალ მოგზაურობასთან. ამ-გვარად, კამატკინიკოვი აღმოჩნდა არა მე-რეტირ-ბუნებისმეტყველის თანამშრომელად, არამედ დამოუკლდებელი მკვლევარი 1737 წლის 5 ივლისს დაიწყო კამატკინიკოვის მოგზაურობა. ობსერვაციან. იკეტესიდან ხმელეთი იგი ობსერვან უნდა ჩასულიყო,

ხოლო შემდეგ ოხოტის ზღვით კამჩატკაზე — ბოლშერეცკი. დიდი წვალებისა და გაქურდავის შემდეგ კაშენინოვი 1737 წლის 14 ოქტომბერს კამჩატკაზე, ბოლშერეცკში მივიდა. კამჩატკაზე მისთვისთანავე მან დააწყო სისტემატური მეტეოროლოგიური დაკვირვებების წარმოება.

კაშენინოვი კამჩატკაზე 1741 წლის 12 ივნისამდე დარჩა. კამჩატკის ნახევარკუნძულზე კაშენინოვი რამდენიმე ხანგრძლივ მარშრუტზე ჩაატარა, რამაც საშუალება მისცა მას თითქმის მთლიანად გაეცნობოდა უზარმაზარი ნახევარკუნძულის ბუნებას. 1738 წლის იანვარში მან იმოგზაურა ბოლშერეცკიდან ნახევარკუნძულის შიგა ნაწილებში, დეტალურად აღწერა ვულკანი ავაჩა. იმავე წლის გაზაფხულზე კაშენინოვი გაემგზავრა ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში გაოსიკელდე, სადაც აღწერა მრავალი თბილი წყარო მდ. ოზერნის ბუხარში.

კაშენინოვმა 1738 წლის ზამთრის დამდეგს დაიწყო და 1739 წლის აპრილში დაამთავრა თავისი მესამე მოგზაურობა კუნძულის შიგა ნაწილებში. ამ მოგზაურობის დროს მან მოინახულა მდ. კამჩატის ხეობა და დასახლებული პუნქტები — ვერანკე-ჩასკი და ნინეკამჩასკი, შეისწავლა კამჩატის აღმოსავლეთ სანაპირო ნინეკამჩატისკიდან ავიამდე.

